

ახალი თაობა



„აზარბუღი თამაშების ბიზნესის ბრუნვა უფრო მეტია, ვიდრე პენარგამიკის“



6 ივლისიდან საქართველოს მეფეთა ისტორია

ფასი გაზთთან ერთად 8 ლარი



პარასკევი, 7 ივლისი, 2017

№159 (7394)

ფასი: 50 თეთრი

„რუსი ლამისა, სენბრალურ მამისტრალზე გამოვიდეს, ესენი კიდეც აღმავნებელზე ინდოელებს დასდევან“



საოკუპაციო რეჟიმს ცენტრალურ მაგისტრალამდე 400 მეტრი აშორებს



პრეზიდენტის მიერ შეწყალბულთა შორის თეა სირაძეც მოხვდა

საქართველოს პრეზიდენტმა ადამიანის გატაცებაში, ფულის გამოძალვასა და ხულიგნობაში ბრალდებული 4 შვილის დედა თეა სირაძე შეიწყალა. „ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, თეა სირაძემ სასჯელაღსრულების ქალთა დაწესებულება უკვე დატოვა. 37 წლის თეა სირაძეს ბრალად ადამიანის გატაცება, ფულის გამოძალვა და ხულიგნობა ედება, თუმცა იგი ამ ბრალდებებს არ ეთანხმება და აცხადებს, რომ ის 5 ინდოელი მამაკაცისგან თავს იცავდა, რის გამოც მათ ფიზიკურად გაუსწორდა. აღსანიშნავია ისიც, რომ 4 შვილის დედას სასამართლომ 28 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.



გიორგი ვაშაძე:
„ვიქნები თუ არა თბილისის მერობის კანდიდატი, ჯერ გადაწყვეტილი არ არის“



„სააკაშვილი იუსტიციის სახლის გახსნაზე გავიცანი“

2 ხელისუფლების ერთი დაუსრულებელი გზა — რატომ გაჭიანურდა თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალის მშენებლობა?



ლევით ღარიბაშვილი:
„ხელისუფლებას ევროსაბჭოში ნიტოელი ბარათი უჩვენა“



სოსო შაბგერაშვილი:
„არ შემხვედრია აღმეიანი, რომელსაც მაჟორიტარული სისტემა უნდა“

ლევით უსუფაშვილი:
პრემიერს — ურემი უკვე გადაბრუნებულია, მაგრამ მისი ფეხზე დაყენება ჯერ კიდევ შესაძლებელია



სოზარ სუბარე:
„ეს არის ოქუაყუა, რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო“



გიორგი მარგველაშვილი:
„მოუწოდებ საპარლამენტო უმრავლესობას, არ იძალადოს პოლიტიკურ პროცესზე“



ISSN 1987-9385
9 771987 938006



გიორგი ვაშაძე: „ვიქნები თუ არა თბილისის მერობის კანდიდატი, ჯერ გადაწყვეტილი არ არის“



ნონა ცაბაძე

„ახალ თაობას“ „ახალი საქართველოს“ ლიდერი გიორგი ვაშაძე ესაუბრება.

– **ბატონო გიორგი, გავრცელდა ინფორმაცია, რომ თბილისის მერის არჩევნებში კენჭისყრას გეგმავენ.**

– ყველა შემთხვევაში ჩვენ ჩვენი კანდიდატურა გვეყოლება. ამ ეტაპზე საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის, მე ვიქნები თუ ვინმე სხვა.

– **ეს რაზეა დამოკიდებული?**

– მაქსიმალურად ვცდილობ, ახალი ადამიანები გამოჩნდნენ პოლიტიკაში და, თუ რამდენიმე კანდიდატი გამოიკვეთა, შეიძლება პრაიმერიზიც მოგვინიოს. თუ სხვანაირად წარიმართა, მაშინ დავაყენებ ჩემს კანდიდატურას. რასაც მე ვუყურებ თბილისის მერობის კანდიდატებს, თითოეული პროფესიონალიზმისგან ძალიან შორს არის. ქალაქის მართვა არ არის მათი პროფესია.

– **კალაძე თბილისის მერად არ გამოდგება?**

– კალაძე ძალიან კარგი ფეხბურთელია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კარგი მმართველია. ზაალ უდუმაშვილი კარგი ჟურნალისტი და დიქტორია, მაგრამ ასევე არ ნიშნავს, რომ კარგი მმართველია. ელენე ხოშტარია საგარეო საკითხების კარგი სპეციალისტია, მაგრამ ასევე არ ნიშნავს, რომ მას რამე გამოცდილება აქვს მართვის. ალექსი ელისაშვილიც კარგი ჟურნალისტი და სკანდალებს კარგად აწყობს, მაგრამ არც ეს ნიშნავს, რომ მას აქვს მართვის გამოცდილება.

– **თქვენ გაქვთ მართვის გამოცდილება?**

– მე, უბრალოდ, ვფიქრობ, რომ ჩვენ ბოლო პერიოდში ძალიან ბევრი პროექტი შევქმელით და გავაკეთებინეთ მერისა, დაწყებული უფასო სასაბალოებიდან, გავრცელებული სკვერებისა და ბაღების მოწესრიგებით.

– **კალაძე ვერ იქნება ძლიერი კონკურენტი?**

– ძლიერი კონკურენტი იქნება, რადგან სახელისუფლებო და ფინანსური რესურსი აქვს ძალიან დიდი, მაგრამ ის ძლიერი მერი ვერ იქნება, ეს ცალსახაა!

– **კალაძე გასულ კვირას წარადგინა პრე-**



მეორ-მინისტრმა. დიდი მოლოდინის მიუხედავად, მის გვერდით არ გამოჩენილა ბიძინა ივანიშვილი. რა ხდება, განუდგა „ქართულ ოცნებას“ ივანიშვილი?

– ბიძინა ივანიშვილი არ აპირებს, აქტიურად ჩაერთოს ამ საარჩევნო კამპანიაში. ბიძინა ივანიშვილის გარეშე „ქართულ ოცნებას“ ძალიან გაუჭირდება, იმიტომ რომ ეს არის ბიძინა ივანიშვილის ელექტორატი. რაც უფრო ნაკლები იქნება მისი ჩართულობა, მით უფრო მეტი პრობლემა ექნება „ოცნებას“ არჩევნებში. როგორც ჩანს, ივანიშვილი მეორე სიცოცხლეს ეძებს.

– **ანუ?**

– მას უნდა, რომ პასუხისმგებლობას გაექცეს და დაშორდეს იმ პროცესებს, რომლებიც ახლა ხდება ქვეყანაში. თუმცა, არ მგონია, ეს ასე მარტივად გამოუვიდეს.

– **შეიძლება, რომ „ოცნება“ დამარცხდეს ამ არჩევნებში?**

– იმხელა ქაოსშია ქვეყანა ჩადებული „ქართული ოცნების“ მხრიდან, რომ ძალიან ბევრი რამ შეიძლება მოხდეს. ხალხს ყელში ამოუვიდა ეს უსაქმურობა. ელიავას ბაზრობის ხანძარმა კიდევ ერთხელ აჩვენა მავნებლური დამოკიდებულება ყველაფრის მიმართ.

– **თქვენც მათ რიგებში ხართ, ვინც ფიქრობს, რომ ეს ხანძარი ხელოვნურადაა მოწყობილი და მასში ხელისუფლების ხელი ურევია?**

– არა, მე ამაში არ ვადანაშაულებ. მათ არ იციან კრიზისული სიტუაციების მართვა. ეს არის სწორედ ის, რომ ხელისუფლების მოვალეობა. როდესაც ასეთი რამ ხდება, მნიშვნელოვანია, როგორ მართავს ხელისუფლება კრიზისულ სიტუაციებს. აღარაფერს ვამბობ იმ გამოუძიებელ ხანძრებზე, რომლებიც აქამდე იყო, მერე რამდენიმე დღე გადაკმეტილი ბაზრობა და ვინც არ დაზარალდა, ისიც დაზარალეს ხელახლა. „ქართულმა ოცნებამ“ კიდევ ერთხელ აჩვენა სრული უცოდინრობა, არაპროფესიონალიზმი და ეს უკვე მავნებლობაში გადადის!

– **ოპოზიციის კანდიდატებისგან გვესმის შეფასებები, რომ კახი კალაძე სუსტის მეთოდებით ცდილობს, დაიწყო ნინასარჩევნო კამპანია. როგორ ფიქრობთ, თუკი „ოცნებას“ გაუჭირდა თბილისში, მივიღებთ უკონცხელის მსგავს სურათს?**

– ორგანიზატორი ამ დაჯგუფებების, რომელიც ვინილეთ კორცხელში თუ სადმე სხვაგან, იყო კალაძე და სრულიად არ გამოვრცხავ, რომ თუ დასჭირდა, ეს ადამიანი გამოიყენებს ამ მეთოდებს. აბა რისთვის ამზადებდა ამხელა სპორტსმენების ჯგუფებს და ამხელა დაჯგუფებებს?! იმისთვის, რომ საჭირო დროს გამოიყენოს ეს ყველაფერი.

– **დანარჩენი კანდიდატების შანსებს როგორ აფასებთ? ნაციონალების კანდიდატი პოპულარობით სარგებლობს თბილისის მოსახლეობაში?**

– ეს არის პირველადი განცდა ამ პოპულარობის. ნელ-ნელა ეს ეიფორია ჩაცხრება. მთავარი პრობლემა ნაციონალურ მოძრაობას რომელიც აქვს, მარტო ახალი ადამიანის მოყვანა კი არ არის მნიშვნელოვანი, მთავარია, რამდენად შინაარსობრივად ახალს სთავაზობს. ნაციონალური მოძრაობა დაიკარგა და გაიჭედა წარსულში. მისი დაპირებები ისევ ვაჟურებია. 2012 წლის



„მე ნაცმოძრაობის კადრი არ ვარ“

შემდეგ ოთხჯერ წაგო არჩევნები ამ გაუჩერებელი და რამდენჯერ უნდა შესთავაზონ ეს გაუჩერები?! ახალი იდეა არ აქვთ საერთოდ.

ამ არჩევნების შემდეგ კიდევ უფრო ჩამოიშლება ნაცმოძრაობა. ზაალ უდუმაშვილი პოლიტიკაში როგორც შემოვიდა, ისე გაქრება პოლიტიკიდან.

– **არ აქვს მას პოლიტიკური მომავალი?**

– ყველას გვესმის, რომ ის არ არის გრძელვადიანი პოლიტიკური ფიგურა. უდუმაშვილი არის ტექნიკური კანდიდატი, რომელიც დანიშნა მიხეილ სააკაშვილმა! „ევროპული საქართველო“ საერთოდ განულებულია, მათ შორის იმიტომ, რომ ისინი პირდაპირ გარიგებაში არიან „ქართულ ოცნებასთან“, რასაც ადასტურებს ბოლო პერიოდში მიმდინარე მოვლენები.

– **რომელ მოვლენებს გულისხმობთ?**

– თუნდაც საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით. დღეს ვკითხულობდი პრემიერის განცხადებას და ისევ და ისევ თავს იწონებენ იმ კომფორტით, რომელიც „ევროპულმა საქართველომ“, როგორც უმცირესობამ პარლამენტში, შეუქმნა „ოცნებას“ საკონსტიტუციო განხილვებში მონაწილეობის დროს. ჩვენ კარგად ვხედავთ, როგორ დამთავრდა ეს საკონსტიტუციო განხილვები, თავზე გადაახიეს ყველას ეს კონსტიტუცია და სრულიად სხვა რედაქცია დაწერეს და კენჭიც უყარეს. დღეს ჩიხში არიან, რადგან საერთაშორისო საზოგადოებას ვერ მოატყუებდნენ, რადგან მეტისმეტი მოუვიდა „ქართულ ოცნებას“.

– **ამბობენ, რომ კონსენსუსამდე მივლენ.**

– კი, გვესმის მსგავსი განცხადებები. გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ევროპული საქართველო“ მოლაპარაკებებს აწარმოებს „ოცნებასთან“.

– **„ევროპულმა საქართველომ“ უარყო ეს**

ინფორმაცია.

– მერე უარყვეს, ვილაცა დაიბნა და ვერ უარყო, ვილაცა სხვა რაღაც თქვა. პირდაპირ ვთქვით, უმცირესობის 21 მანდატი არის მოპარული მანდატი, რომელიც „ევროპულ საქართველოს“ აქვს და ამ მანდატს იყენებენ მხოლოდ საკუთარი ინტერესებისთვის.

– **ანუ თქვენ ამტკიცებთ, რომ „ევროპული საქართველო“ „ოცნების“ თამაშს თამაშობს?**

– პირდაპირ ვამბობ, ეს ყველაფერი დადასტურდება, თუ „ევროპული საქართველო“ რაიმე ტიპის კომპრომისზე წავა და ცალკე დაინყებს მოლაპარაკებას „ქართულ ოცნებასთან“. მსგავსი რამ ერთი-ორჯერ უკვე გააკეთეს და საერთო ოპოზიციური შეთანხმება ჩაშალეს. ხალხი არ არის ბრმა და ყრუ, ამას რომ ვერ ხედავდეს! შესაბამისად, მათ მხარდაჭერა ექნებათ ნულზე უფრო დაბალი! ისინი ფიქრობენ ტექნიკური ხმების აღებას, ნაციონალური მოძრაობის კოორდინატორები ჰყავთ გადაფორმებული და ფიქრობენ, მათ ხელფასებს თუ დაურიგებენ, რაღაც რაოდენობა ხმას აიღებენ. ეს არის მათი მთელი გათვლა!

– **ნაციონალური მოძრაობის იარაღის მოშორება ძალიან გაგიჭირდებათ. თქვენ მათი სახე იყავით. ამაზე რას იტყვით?**

– კი, მათი სახეც ვიყავი, თუმცა 2012 წლამდე პოლიტიკაში არ ვიყავი, ხოლო 2012 წლის შემდეგ ჩემი და კიდევ ერთი-ორი კაცის მეტი დებატებში ვერავინ დადიოდა. ბოკერიები და გაბაშვილები წინდებოდნენ თავიდან, ისე ემინოდით საჯარო სივრცის, სახლიდან გარეთ ვერ გამოდიოდნენ. სააკაშვილი 2010 თუ 2011 წელს გავიცანი იუსტიციის სახლის გახსნაზე.

– **ისე გეკავიათ ამხელა თანამდებობა, რომ მიხეილ სააკაშვილს არ იცნობდით? ცოტა დაუჯერებელია...**

– გიმეორებთ, სააკაშვილი მე გავიცანი იუსტიციის სახლის გახსნაზე.

– **როგორ მოხვდით ამ თანამდებობაზე?**

– მე ჩულებუთის საპასპორტოს უფროსობით დავინყე დამოუკიდებლად, კონკურსის წესით. მაშინ მინისტრის მოადგილე იყო კოტე ვარძელაშვილი და დეპარტამენტის უფროსი – ირაკლი ფორხიძე. მაშინ შეიქმნა სამოქალაქო რეესტრი, საპასპორტო გადავიდა იუსტიციის სამინისტროში და მე კონკურსის წესით დავინყე მუშაობა. ექვსი მინისტრი გამოვიცვალე და ყველა მათგანი ექვსი თვის მერე აპირებდა ჩემს გათავისუფლებას ერთადერთი რამის გამო...

– **რის გამო?**

– მე პარავისთან კომპრომისზე არ მივდიოდი. არც პარტიულ კადრებს ვნიშნავდი და არც ნეპოტიზმით ვიყავი დაკავებული. ვერ გამათავისუფლა ვერც ერთმა სამსახურიდან, იმიტომ, რომ შედეგებს ვედეხდი! აი, ეს იყო რეალობა. პირდაპირ გეტყვით, მე ნაცმოძრაობის კადრი არ ვარ, თუმცა იმ პასუხისმგებლობას, რომელიც იყო, არ გავურბივარ. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ სწორი ნაბიჯი გადავდგი გასულ წელს და მანდატების ქურდებით არ შევდი პარლამენტში. მე ადევნი და გარანტირებულად ადგილზე ვთქვი უარი.

დრო ყველა თავისას მიუზღავს და განაჩენს გამოუტანს. ასე მოუვათ ბაქრაძესაც, ბოკერიასაც და მის ირგვლივ შეკრებილებს, რომლებიც მზად არიან, ყველანი იგარეგებებენ ნაიფდენ, ოღონდ თვითონ იყვნენ პარლამენტში.

გიორგი კვირიკაშვილი: „თითოეული გურიისტი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ბიუჯეტში“

– თითოეული ტურისტი დამატებითი შემოსავალია ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ბიუჯეტში.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა, სადაც მან საქართველოში შემოსული ტურისტების მაჩვენებლებზე ისაუბრა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, ივნისში ტურისტების 43%-იანი ზრდაა. მისივე თქმით, ივნისში საქართველოს 330.000-მდე ტურისტი ეწვია.

– ეს არის იმ ტურისტების რიცხვი, რომლებიც 24 საათზე მეტი ხნით რჩებიან საქართველოს ტერიტორიაზე. მათი რაოდენობა თითქმის 99.000-ით გაიზარდა 2016 წლის ივნისის მაჩვენებელთან შედარებით.

6 თვის მონაცემებით, ტურისტების რაოდენობა არის 29%-ით გაზრდილი, რაც, ვფიქრობთ, ძალიან კარგი მაჩვენებელია, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

მისივე თქმით, საქართველოში ტურისტების შემოსვლა იზრდება როგორც რეგიონის, ასევე ევროკავშირის ქვეყნიდან. – მაგალითად, ავსტრიიდან არის 54%-იანი ზრდა, ნიდერლანდებიდან 36%-იანი, გერმანიიდან 32%, გაერთიანებული სამეფოდან 28%. იმედოვნებ, რომ მას შემდეგ, რაც ჩვენ გვაქვს პირდაპირი ფრენები ლონდონის მიმართულებით, როგორც ქუთაისიდან, ასევე თბილისიდან, კიდევ უფრო მეტი ტურისტი შემოვა გაერთიანებული სამეფოდან. ასევე საფრანგეთიდან გაზრდილია 23%-ით, ლიტვა 17%. ამასთან, აზიის ქვეყნებიდან არის მნიშვნე-

ლოვნად გაზრდილი ტურისტების მაჩვენებელი. რატომ გვიხარია ეს მაჩვენებელი? – იმიტომ, რომ დამატებითი შემოსული თითოეული ტურისტი, არის დამატებითი შემოსავალი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ბიუჯეტში და იმ ადამიანების ბიუჯეტში, რომლებიც სხვადასხვა ფორმით სარგებელს იღებენ – იქნება ეს ვაჭრობა, მცირე სასტუმროები, ტრანსპორტი და სხვადასხვა ტიპის მომსახურება. ასევე სოფლის მეურნეობა, რომლის პროდუქტი ძალიან მნიშვნელოვანია ტურიზმის განვითარებისთვის და ა.შ.

ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი ძალისხმევა და ინვესტიციები ასევე ამ მიმართულებით გავაძლიეროთ, რათა ეს პოტენციალი ჩვენმა ქვეყანამ სრულად გამოიყენოს, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

ახალი თბილისი

გაზეთი

გამოცემის

1993 წლის

23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოხო გოგინაშვილი

მთავარი რედაქტორი – სოხო გოგინაშვილი

რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

რედაქტორის მოადგილე – შოტენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები

ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი

საგინანო სამსახური – ჯორა ბალავაძე

დაკაბდონება – ინგა დვალისიშვილი, ნონა კანდელაკი, შინა ქაქაშვილი

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55

გაფრთხილების სამსახური – მერაბ ლევინაშვილი

დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.

ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91

ვებ-გვერდი www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეგულირდება და

ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე

გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო

განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება

აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე

პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„რუსი ლაშქარი, სენაკურ მებრძოლზე გათავისებულ, ესენი კიდეც აღაშენებელზე ინდოელზე დასდევნენ“

საოკუპაციო რეჟიმს ცენტრალურ მაგისტრალამდე 400 მეტრი აშორებს

**შორენა მარსაგიშვილი**

საქართველოს ცენტრალურ ავტომაგისტრალსა და ბაქო-სუფსის საექსპორტო მილსადენს სერიოზული საფრთხე შეიძლება შეექმნას. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ საოკუპაციო ზოლის მუდმივი გადმოწევა რუსეთი საქართველოზე გავლენის მოპოვებას ცდილობს.

სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ანატოლი ბიბილოვმა გასულ წელს, როცა მას ჯერ კიდევ პარლამენტის სპიკერის პოსტი ეკავა, განაცხადა, რომ ბაქო-სუფსის მილსადენი მათ ტერიტორიაზე გადის. ბიბილოვის თქმით, ამ მილსადენიდან სამხრეთ ოსეთმა სარგებლობა უნდა მიიღოს.

მის ამ განცხადებას საქართველოს ხელისუფლება სიცილ-კისკისით შეხვდა, არადა, საქმე ძალიან ცუდად არის. რუსებს მილსადენამდე და ავტომაგისტრალამდე მხოლოდ რამდენიმე ასეული მეტრი აშორებს.

ქართული პოლიტიკა რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ

ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი ფიქრობს, რომ რუსეთი საოკუპაციო ზოლის მუდმივი გადმოწევა რამდენიმე კუთხიდან დაჭერას ცდილობს.

– რუსეთი იმავს აკეთებს საქართველოში, რასაც ჩრდილოეთ კორეაში. ის დასავლეთს კიმ ჩენ ინის დენიკინის დროინდელი ბირთვული იარაღით ემუქრება და საქართველოს ავტომაგისტრალსა და ავტომაგისტრალამდე მხოლოდ რამდენიმე ასეული მეტრი აშორებს.

ამის გარდა, აქვს გლობალური მიზნები, კონტროლი მოიპოვოს ბაქო-სუფსის მილსადენზე და ეს ფაქტი მთავარ ბერკეტად გამოიყენოს დასავლეთთან პოლიტიკური ვაჭრობისთვის, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში კასრელიშვილი.

„ხელისუფლება ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის მიჩქმალვას ცდილობს“

მისი თქმით, რუსეთისგან ყველაფერია მოსალოდნელი, ამასთან გარაუდობს, რომ კრემლის პოლიტიკა სასურველ მიზანს ვერ მიაღწევს. საოკუპაციო ზოლის გადმოწევას ის მომავალშიც ელოდება.

– ეს პროცესი გაგრძელდება მანამდე, ვიდრე საქართველოში რუსეთის რჩეულები არ აჯანყდებიან. მოსკოვში კარგად იციან, რომ ეს აჯანყება შედეგს არ მოუტანს. პრორუსულებს საქართველოში დასაყრდენი არა აქვთ. კრემლს მათი ბოლომდე გამასხარავება არ უნდა, ამიტომაც ესმარება მათ და ჩვენზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენს. საოკუპაციო ზოლის მუდმივი გადმოწევა ამის გამოვლინებაა, – აღნიშნავს ანალიტიკოსი.

კასრელიშვილის აზრით, ამ მიმართულებით საერთაშორისო თანამეგობრობის შეშფოთება საკმარისი არ არის, საოკუპაციო პოლიტიკის მიმართ თავისი ნეგატიური პოზიცია მოსახლეობამაც უნდა დააფიქსიროს. ის საზოგადოების აქტიურობას შემდეგი მიზეზით ითხოვს:

– ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რისი გაკეთებაც არსებული სიტუაციაში შეიძლება. საერთაშორისო თანამეგობრობაც საქმის კურსშია, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ამას სახალხო პროტესტი უნდა მოჰყვეს. კრემლი დაინახავს, რომ ქართველი ხალხი ისე არ ფიქრობს, როგორც მათი ფავორიტები ეუბნებიან. ისინი მოსკოვს უმტკიცებენ, რომ ქართველებს დასავლეთი არ უნდათ და დასავლური კურსი მხოლოდ ხელისუფლების ახირებაა. სახალხო პროტესტის შემდეგ კრემლი მიხვდება, რომ ჩრდილოეთი ქართველი ხალხის არჩევანი არ არის.

რუსეთის საოკუპაციო პოლიტიკას გმობს დემოკრატიული მოძრაობის წევრი, ყოფილი პოლიტდევნილი გიგლა ბარამიძე. საინტერესოა ის ფაქტი, რომ დემოკრატიული მოძრაობა პრორუსულ პარტიად ითვლება, რასაც ბარამიძე უარყოფს და „ახალ თაობასთან“ საუბარში ამბობს, რომ მისი პარტია ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც ოკუპაცია ოკუპაციის ადგილზე გააპროტესტა.

– საოკუპაციო ზოლის გადმოწევა 2009 წლიდან დაიწყო. ჩვენი პარტია რამდენჯერმე ჩავიდა შიდა ქართლში და ეს ქმედება ადგილზე გააპროტესტა,



– ამბობს ბარამიძე.

ყოფილი პოლიტდევნილი მიიჩნევს, რომ საოკუპაციო ზოლის გადმოწევა გასაპროტესტებელია, თუმცა მიიჩნევს, რომ ყურადღება ამაზე უფრო სერიოზულ საკითხზე უნდა გაგზავნილიყო.

– საქართველოს მთავარი ამოცანა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა. ჩვენმა უძლეურმა ხელისუფლებამ უნდა მოახერხოს, რომ რუსეთის მიერ წახალისებულმა სამხრეთ ოსეთმა ე.წ. საზღვრის გადმოწევა შეაჩეროს. გამუდმებით გაიძახიან, აი, საზღვარმა გადმოიწია, მაგრამ იმას არავინ ამბობს, რომ შუაგულ ქართლში საზღვარი არ უნდა იყოს.

სასწრაფოდ უნდა გაიმართოს მოლაპარაკებები, სადაც ე.წ. საზღვრის გაუქმებასა და

ტერიტორიულ მთლიანობაზე უნდა იყოს საუბარი. ესენი მთავარს არ ახსენებენ და მეტრობით ითვლიან საზღვარს, – აღნიშნავს დემოკრატიული მოძრაობის წარმომადგენელი.

ის ეჭვობს, რომ ბოლო დროს გააქტიურებული თემები ერთ მიზანს ემსახურება – გადაიფაროს მთავარი პრობლემა:

– ნარკოპოლიტიკის დეკრიმინალიზაცია, ციანიდის საქმე, საკონსტიტუციო ვნებები მხოლოდ იმიტომ არის, რომ გადაიფაროს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი. ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის მოსაგვარებლად არავინ არაფერს აკეთებს.

ბარამიძე დიდი შვიდეულის ლიდერების ფარგლებში ტრამპისა და პუტინის შეხვედრას ელოდება. შეხვედრა დღეს, 7 ივლისს, უნდა შედგეს.

– ამ შეხვედრაზე საუბარი იქნება ყველაფერზე – სირიაზე, ყირიმზე, დონბასზე, დნესტრისპირეთზე. საქართველოს არავინ ახსენებს იმიტომ, რომ საქართველოს ხელისუფლება არ აქტიურობს. საქართველოში აშშ-ის ელჩი მთავრობის სხდომებს ესწრება და მასთან კომუნიკაცია პრობლემა არ არის. უთხრან ბატონ ელჩს, რომ მან თავის ხელისუფლებას სთხოვოს, უთხრას რუსეთს, შეაჩეროს საზღვრის გადმოწევა, – ამბობს ბარამიძე.

მისი თქმით, საზოგადოებაც დამნაშავეა



იმაში, რომ ხელისუფლებამ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა გვერდზე გადადო. საზოგადოების დანაშაულს ის შემდეგში ხედავს:

– ხელისუფლება რომ უძლეურია და არაფერს აკეთებს, ეს ვიცით, მაგრამ საზოგადოებაც გაზარმაცებულია, არაფერზე არ რეაგირებს და ამიტომაც ბედავს ხელისუფლებას, ასეთი რამეები აკადროს. ჩვენი საზოგადოების აქტიურობა იწყება და მთავრდება ფეისბუქით.

ყოფილი პოლიტდევნილის გაცხადებით მეტი პრეტენზიები აქვს არასამთავრობო ორგანიზაციებთან. მას აინტერესებს, რატომ არ სურს არასამთავრობო სექტორს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და რატომ არ საუბრობენ ამ პრობლემაზე სხვადასხვა შეხვედრის დროს.

– ვეკითხები გრანტიჭამია, სახედაკარგულ არასამთავრობოებს, რომლებიც, როგორც ამბობენ, ლამის უცხო ქვეყნების რეზიდენტურებამ იქცნენ, ამდენ ფულს რომ იღებთ და მაღალი დონის კონფერენციებზე დაფრინავთ, ერთხელ მაინც გისაუბრიათ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე? ერთხელ მაინც რატომ არ იკითხეთ, რატომ არ აყენებენ ამ საკითხს უმაღლეს დონეზე ჩვენი მეგობარი ამერიკელები და ევროპელები?!

ბონია მენისქვილის ფსიქიკით რომ არ ცხოვრობდეს ქართველი ობიექტული, ამდენს ვერც მთავრობა შემოგვებდავდა და ვერც არასამთავრობოები, – აღნიშნავს დემოკრატიული მოძრაობის წევრი.

მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ ხელმძღვანელი ლევან ხაბეიშვილი მიიჩნევს, რომ რუსული ოკუპაცია ის თემაა, რომლის წინააღმდეგაც მთელი საქართველო უნდა გაერთიანდეს.

– ყველა ქართველის ვალია, ოკუპაცია გააპროტესტოს. ავტობანიდან 500 მეტრში დგას რუსული ჯარი. ყოველდღიურად ანიოკებენ ადგილობრივ მოსახლეობას. ამაზე ხელისუფლება ხმას არ იღებს. როცა ხელისუფლება დუმს, ხმა მოსახლეობამ უნდა ამოიღოს, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში ხაბეიშვილი.

მას ხელისუფლების დუმილი საეჭვოდ ეჩვენება და დარწმუნებულია, რომ ხმას არც შემდეგში ამოიღებენ. ამის წინაპირობად კი წლების წინ „ოცნების“ ლიდერების გაკეთებული განცხადებები მიაჩნია:

– 2012 წელს „ქართული ოცნება“ გვიმტკიცებდა, რუსეთი ჩვენი მტერი არ არისო. მათი თქმით, მოსკოვი საპაშვილის ხელისუფლების აგრესიულმა პოლიტიკამ გააღიზიანა. გვითხრეს, ახლა ჩვენ რუსეთს ბაბაიას დავუძახებთ და მტრობაც დამთავრდებაო.

ლევან ხაბეიშვილის თქმით, მეოცნებეებმა რუსეთისთვის ბაბაიას ძახილით ქვეყანას ცუდი შედეგები მოუტანეს.

– რუსეთისთვის ბაბაიას ძახილმა მოიტანა ის შედეგი, რომ ასობით საქართველოს მოქალაქე გაიტაცეს. დღე ისე არ გავა, რუსებმა სადმე საოკუპაციო ზოლი არ გადმოიწიონ. რაც ომით ვერ წაიღეს, ბაბაიას ძახილში მიაქვთ, – აღნიშნავს „მედიატორის“ დამფუძნებელი.

მის გაღიზიანებას განსაკუთრებით ის ფაქტი იწვევს, რომ საქართველოს ხელისუფლება ამ ყველაფერს ხალისიანად ადევნებს თვალს. მისთვის აღმაშფოთებელია ისიც, რომ ამ თემაზე ოფიციალურ თბილისის იგივე პოზიცია აქვს, რაც მოსკოვს.

– სულ სიცილ-სიცილში გაატანეს რუსებს ჩვენი მიწები. ჯერ იყო და პაატა ზაქარეიშვილმა გამოაცხადა, 30 მეტრის გამო რუსეთს ომს ვერ დავუწყებთო. ახლა გამოვიდა სუბარმა და გვითხრა, მავთულხაზების გავლება ოკუპაციად ნუ გეჩვენებათო. საოკუპაციო ზოლის გადმოწევა არც საქართველოს ხელისუფლებას არც ოკუპაციად და არც რუსეთს, საინტერესო თანხვედრაა მათ შორის, – აღნიშნავს ხაბეიშვილი.

მცოცავი ოკუპაცია უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჭავანაძესაც აწუხებს. ამ პრობლემის მოგვარების ერთადერთ გზად მას მოსკოვთან დიალოგის დაწყება მიაჩნია.

– ხალხის ადგილზე ხელისუფლებას ერთ მარშს მოვუწყობდი და რუსეთთან დიალოგის დაწყებას ვაი-

ძულებდი, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში მჭავანაძე.

ის არ იზიარებს იმ არგუმენტს, რომ რუსეთთან დიალოგით რამის მოგვარება შეუძლებელია. ის რუსეთთან გამართული დიალოგის შედეგებსაც ასახელებს:

– დიალოგით რომ არაფერი მიიღწევა, ეს იმათი მოგონილია, ვისაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა არ სურს. დიალოგის მეშვეობით გამოიყვანა რუსეთმა თავისი საჯარისო შენაერთები აღმოსავლეთ ევროპიდან. დიალოგის შედეგად იქნა გაყვანილი რუსული ჯარები ბათუმიდან და ახალქალაქიდან. საქართველომ სასწრაფოდ უნდა დაიწყოს რუსეთთან დეოკუპაციის დიალოგი.

მისი განცხადებით, საქართველოს რუსეთზე არანაკლებ მჭიდვარე მტრებიც ჰყავდა, მაგრამ ქართველები მათთან მოლაპარაკებების გზით აგვარებდნენ პრობლემებს.

– ურდოებში სიარული და მტერთან მოლაპარაკებები არც ჩვენს მეფეებს მოსწონდათ, მაგრამ ქვეყანას სჭირდებოდა და მიდიოდნენ. გიორგი ბრწყინვალემ საქართველო მონღოლებთან ერთად გააერთიანა, ამათ, სამწუხაროდ, არ იციან, ვინ არის გიორგი ბრწყინვალე, ნაცარქუჩასა და კომბლეზე არიან გაჩერებული, – აღნიშნავს მჭავანაძე.

მჭავანაძის თქმით, აქციებით რუსული ოკუპაციის გაპროტესტება შედეგს არ გამოიღებს.

– დარწმუნებული რომ ვიყო აქციის შედეგიათაში, მეც წავიდოდი საოკუპაციო ხაზთან,



არავისზე ნაკლებად არ მიყვარს ჩემი სამშობლო და კარგად ვიცი, რომ რუსეთი ოკუპანტია, მაგრამ კარგად ვიცი, რომ დროშის ფრიალი შედეგს არ გამოიღებს. ეს იმ ხალხმაც იცის, ვინც ამის გაკეთებას აპირებს, მაგრამ მათთვის დეოკუპაცია მთავარი არ არის, მათ დავალება აქვთ მიღებული და უნდათ, რომ ვიღაცას რაღაცა დაანახონ, – ამბობს უფლებადამცველი.

მარშისტები თუ ფაშისტები

14 ივლისს საქართველოში 2 მარში გაიმართება. საზოგადოების ერთი ნაწილი რუსულ ოკუპაციას გააპროტესტებს, მეორე ნაწილი კი თბილისში აღმაშენებლის გამზირზე გამართავს ქართველთა მარშს.

ქართული მარში უკვე შეუასდა რუსულ პროექტად, რასაც მისი მომხრეები კატეგორიულად არ ეთანხმებიან.

ქართველთა მარშში მონაწილეობის მიღებას აპირებს უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე.

– რატომ არ უნდა მივიღო ამ მარშში მონაწილეობა? მე ეს ქართულ საქმედ მიმაჩნია, ქართულ საქმეს კი ყოველთვის მხარს დავუჭერ. ეს მარში უკანონოების წინააღმდეგ ტარდება. მაინტერესებს, სანამ ოჯახის წევრებს არ გაუშვებიან, მანამდე ვერ უნდა შეინშნონ საფრთხე? – კითხულობს მჭავანაძე.

მისი თქმით, მსგავსი ღონისძიებები ევროპაშიც ტარდება, მაგრამ ევროპაში არავის უთქვამს, რომ ეს რუსული პროექტია.

ევროპაში გამართულ ანალოგიურ მარშებზე საუბრობს დემოკრატიული მოძრაობის წევრი გიგლა ბარამიძეც. მისი თქმით, ამ მარშს რაიმე განსაკუთრებული დატვირთვა არ უნდა მიენიჭოთ, რადგან ასეთი რამეები ევროპაში კვარტალში ერთხელ ტარდება.

– ბერლინში, მიუნხენში, პარიზში, ვარშა-

გაგრძელება მე-4 გვერდზე



დავით დარჩიაშვილი: „ხელისუფლებას ეპროსაბჭო ნითელი ბარათი უჩვენა“



ნათია ხურცილავა

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, ყოფილი დეპუტატი **დავით დარჩიაშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– **ბატონო დავით, პრემიერმა კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ საკონსტიტუციო პროცესთან დაკავშირებით ბუკიომ ხელისუფლებას მოუწონა კონსენსუსის მიღწევის მზაობა. თქვენ რამდენად გრძნობთ ხელისუფლების ამ მზაობას?**

– ასეთი მზაობა მე არ შემიმჩნევია ხელისუფლებისთვის. შეიძლება კულუარებში თავისთვის წუხან, რა პროცესებსაც აქვს ადგილი საკონსტიტუციო ცვლილების ირგვლივ. თუ ოდნავ მაინც შერჩენიათ რაციონალური ანალიზის უნარი და ხელისუფლებაში ყოფნის ხიბლში არ არიან გადაშვებულნი, მაშინ უნდა ესმოდეო, რომ ევროპის საბჭოს დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის კომისიის შენიშვნები არის სერიოზული ყვითელი ბარათი, მეტიც, შეიძლება ეს იყოს წითელი ბარათიც საქართველოს ხელისუფლებისთვის.

ამ პროცესებით, საქართველო ადგილს იმკვიდრებს არა დემოკრატიის გზაზე მიმავალ, პერსპექტიულ ქვეყნებს შორის, არამედ პოსტსაბჭოთა ავტორიტარულ სისტემებს შორის. ასეთ შეფასებას თუ ევროპა გააკეთებს, ეს მძიმე მდგომარეობაში ჩაგვადგებს. ეს გვიქადის უპერსპექტივობას ყველა მიმართულებით ამ ქვეყნის მოქალაქეებს.

– **რამდენად აცნობიერებს ამას ხელისუფლება?**

– ვერ გეტყვით, რამდენად აცნობიერებს და ეძებს თუ არა ამ ჩიხიდან გამოსავალს დღეს ხელისუფლება, მე ეს არ შემიმჩნევია ჩვენი ხელისუფლებისთვის, მაგრამ რეალურად არის ისეთი, როგორიც გითხარით. გულის სიღრმეში რა აქვს კვირიკაშვილს ან კიდეც ვინმეს, არ ვიცი, მაგრამ სამოქმედო ნაბიჯილად აქვთ.



– **ექსპერტები ამბობენ, რომ ხელისუფლებაში ორი ფრთა არსებობს, ერთი რადიკალების, მეორე – დასავლეთისკენ ორიენტირებული, რომლებიც მზად არიან შენიშვნების გასათვალისწინებლად. თქვენ როგორ ფიქრობთ, პროცესებს მართავს პრემიერი თუ მართლაც მაჟორიტარები, ოქრიაშვილი წყვეტს ამ ყველაფერს?**

– კარგით, რა, მართლაც გჯერათ, რომ ოქრიაშვილი არის ის ისტორიული ფიგურა, რომელმაც ამ ქვეყნის დასავლური, დემოკრატიული განვითარების პერსპექტივა უნდა დააშუქებოდა? ოქრიაშვილზე დამოკიდებული საქართველოს განვითარების ბედი?!

– **ასე ჩანს, რომ ოქრიაშვილის ნების საწინააღმდეგოდ არ მიდის ხელისუფლება.**

– ეს იმიტომ, რომ ასე გამოაჩინეს და ასე

სურთ, რომ ჩანდეს. ასე შენიღბეს მმართველი ელიტის წარმომადგენლებმა თავიანთი მერკანტილური ზრახვები, რომ მაჟორიტარები გვიძლიანდებიან. რეალურად კი მაჟორიტარების ეს შემადგენლობა აკეთებს იმას, რაც სურს მმართველ ელიტას. ასე იყო სააკაშვილის მმართველობის დროსაც და შევარდნაძის დროსაც. ეს ყველამ კარგად იცის.

ესენი არიან რაიონის მასშტაბის კერძო

კვირიკაშვილის გამოცდილება საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ძალიან მწირია

ინტერესების მატარებელი ადამიანები, რომლებსაც ხელისუფლებასთან, ვინც არ უნდა იყოს ის, ურთიერთობის გაფუჭებაზე მეტად არაფრის უშინაო. ხომ სასაცილოა იმის წარმოდგენაც კი, რომ უცებ მაჟორიტარებმა გადაწყვიტეს, გადატრიალება მოახდინონ, სასაცილოა.

– **თქვენ ამბობთ, რომ კვირიკაშვილის არ უნდა, წინ წავიდეთ დემოკრატიის გზაზე?**

– კვირიკაშვილის გამოცდილება საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ძალიან მწირია. ამას ძალიან დიდი დამატებით უნდა ვამბოთ. ამის უკან დგას ივანიშვილი და სპეცსამსახურებში გავლენიანი ადამიანები, გარკვეული ჯგუფები. ჩანს, რომ მათი სურვილების შესაბამისად ხდება, რაც ხდება.

– **ექსპერტები ამბობენ, რომ ივანიშვილი პოლიტიკურ პროცესებს ჩამოშორდა. არ გჯერათ?**

– ერთხელ ივანე მრისხანემ თქვა, გადავდექი, მაგრამ ამაზე რამე შედეგი გამოიღო, შეიცვალა

ლა რამე?! არა მგონია, რომ ივანიშვილი პოლიტიკას განერიდა.

– **რამდენად რეალურია, რომ 2020 წლისთვის ერთჯერადად „ევროპულმა საქართველომ“ ხელისუფლებას შესთავაზა მაჟორიტარული მანდატების შემცირება პროპორციულის ხარჯზე?**

– გიგი უგულავამ განმარტა, რომ ეს იყო აბსოლუტურად კონტესტიდან ამოგლეჯილი ინფორმაცია.

– **რამდენად განიხილება ეს საკითხი თქვენს გუნდში, რომ ასეთი შეთავაზება მოხდეს?**

– ჩვენმა პარტიამ თავისი დამოკიდებულებები ძალიან ნათლად გამოხატა.

– **რამდენად არის ხელისუფლებისთვის სერიოზული სიგნალი ის გზავნილები, რომლებსაც თუნდაც სტრასბურში ისმენს კობახიძე?**

– ვერ გვხვდა, რომ ამ ადამიანებს, რომლებიც დღეს თანამდებობებზე არიან, ჰქონდეთ გაცნობიერებული, თუ რა შარში არიან გახვეული. გარეგნულად ეს არ ჩანს, მაგრამ, გულში თუ წუხან და ამას ნელ-ნელა აცნობიერებენ, მიდიან რაციონალურ დასკვნამდე, კარგია, მაგრამ ეს არ ჩანს. არ არის გამორიცხული, რომ მართლაც ღელავენ, წუხან, მაგრამ რისთვის არიან მზად და რისთვის – არა, არ ვიცი. ეს მათ უნდა გვითხრან ბოლოს და ბოლოს.



„რუსი ლამისაა, ცენტრალურ მაგისტრალზე გამოვიდეს, ისინი კიდეც ალბაშენაბალები ინდოელებს დასდევნენ“

დასაწყისი მე-3 გვერდზე
გაში მილიონიანი მარშები იმართება. გერმანიაში შეიქმნა უტერიერის ორგანიზაცია პეგიდა – ევროპის პატრიოტები დასავლეთის ისლამიზაციის წინააღმდეგ. ამ ორგანიზაციაში 100.000-მდე ადამიანი გაერთიანებული. ისინი ძალიან აქტიურები არიან, მაგრამ მათთვის არავის დაუბრალებია, რომ რუსულ საქმეს აკეთებენ. ან რატომ არის რუსული საქმე, როცა უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ილაშქრებ? ტრამპმა უკანონო მიგრაციის შესაჩერებლად მექსიკასთან კედლის აშენების გადაწყვეტილება მიიღო. ისიც უტერიერის დავალებას ასრულებს? – კითხულობს ბარამიძე.

უკანონო მიგრაციისა და სააროკოების წინააღმდეგაა ზაალ კასრელიშვილიც, თუმცა ის ქართველთა მარშზე მისვლას არ აპირებს და ამ-

ბობს, რომ მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილება ხელისუფლებას მარტივად შეეძლო. – რამდენი ხანია, ამაზე საუბარი. ხელისუფლებამ უნდა გაამკაცროს საიმეგრაციო პოლიტიკა და ბორდელიც ალაგმოს. მერე არავის აღარ ექნება საბაბი, რომ ამ თემებზე აქციები მოაწყოს და რუსული სცენარები გაითამაშოს, – ამბობს კასრელიშვილი.

მის მოსაზრებას ნაწილობრივ იზიარებს მფავანაძე. მისი თქმით, ხელისუფლებას მონდომების შემთხვევაში შეუძლია ამ პრობლემის გადაჭრა.

– მარშის დაანონსების შემდეგ ხელისუფლება მოემდებებუ გადვიდა და სააროკოების წინააღმდეგ გაილაშქრა. ამის გაკეთება აქამდეც



შეიძლებოდა, – აღნიშნავს უფლება-

დამცველი. დემოკრატიული მოძრაობის წევრი გიგლა ბარამიძე მიიჩნევს, რომ

საზოგადოების ნაწილს ამ მარშისკენ თავად ხელისუფლებამ უბიძგა.

– რამდენიმე თვის წინ თავად პრემიერმა აღნიშნა, რომ ეს პრობლემა არსებობდა. ამ საკითხის მოწესრიგებაზე არავის უფიქრია. არადა, სარფიდან მოყოლებული თბილისამდე 500 ბორდელია. როდესაც პრემიერის დავალება არ სრულდება და ამ დავალების შეუსრულებლობისთვის არავის სჯიან, მაშინ ხალხი იძულებულია, თავად მოითხოვოს წესრიგის დამყარება და კანონის აღსრულება. სხვათა შორის, დემოკრატია კანონის

უზენაესობა და არა ქუჩაში ტიტველი სირბილი თუ გეიალუმის მოწყობა, – აცხადებს ბარამიძე.

უკანონო მიგრაცია და ბორდე-

ლების ამბავი არც ლევან ხაბეიშვილს მოსწონს, მაგრამ ქართველთა მარშს მაინც რუსულ პროექტად მიიჩნევს.

– მე მარშისტებისა და ფაშისტების მოსაზრებას ვერ გავიზიარებ. რუსი ლამისაა, ცენტრალურ მაგისტრალზე გამოვიდეს, ესენი კიდეც ალმაშენებელზე ინდოელებს დასდევნენ. იქ პრემიერი ჩივის, ბორდელში ქართველ კაცებს არ უშვებენო. ეს ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ოკუპაციიდან ყურადღება გადაიტანონ. მოეწონებოდა ყველას, კარგად წაიკითხონ ისტორია და ნახავენ, რომ საქართველო ყველაზე დიდი მტერი იყო და არის რუსეთი, – ამბობს ხაბეიშვილი.

ის იმედოვნებს, რომ რუსული ოკუპაციის გასაპროტესტებლად გაცილებით მეტი ხალხი მივა, ვიდრე ქართველთა მარშზე. ორივე ღონისძიება 14 ივლისს არის დაგეგმილი.

სოზარ სუბარი: „ეს არის ოკუპაცია, რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო“



მაგისტრალამდე 500 მეტრია დარჩენილი.

– იქ, სადაც დარჩენილია 500 მეტრი, 500 მეტრი იყო დარჩენილი 2008 წელსაც. ეს არის ოკუპაცია, რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო და რომელმაც პიკს მიაღწია 2008 წელს. მაშინ მოაღწია ზუსტად 500 მეტრით ცენტრალურ გზამდე, მაშინ დღესასწაულობდა ყოფილი ხელისუფლება, რომ ვაშა, ორქოსთან აუხვიეს და გვეშველაო. აი, იმ ოკუპაციის შედეგია ეს. ამის საწინააღმდეგოდ არსებობს ერთადერთი გზა – ეს არის ჩვენი ქვეყნის განვითარება და საერთაშორისო მხარდაჭერა, რომელიც აუცილებლად დასრულდება იმით, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგება, ისევე, როგორც 50 თუ 60-წლიანი ოკუპაციის შემდეგ დამთავრდა ალმოსავლეთ გერმანიის ოკუპაცია და გერმანია გაერთიანდა, – განაცხადა სოზარ სუბარმა.

„თავისუფალი საქართველო“ ოპოზიციასთან კონსულტაციების დაწყებას მიახლოება

პარტია „თავისუფალი საქართველო“ ოპოზიციასთან კონსულტაციების დაწყების შესახებ პრემიერ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებას მიესალმება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ „თავისუფალი საქართველოდან“ აცნობეს, პარტიაში იმედოვნებენ, რომ ოპოზიციასთან გამართულ კონსულტაციებს მხოლოდ ფორმალური სახე არ ექნება.

– პოლიტიკურ ძალებს შორის დიალოგი არის ის ჯანსაღი ფორმატი, რომელიც უმჯობესი იქნებოდა საკონსტიტუციო რეფორმის დაწყებისთანავე გამართულიყო, თუმცა, თუკი მხარეების მხრიდან იქნება შესაბამისი მზაობა, კომპრომისის მიღწევა ამ ეტაპზე შესაძლებლად მიგვაჩნია.

ვიმედოვნებთ, რომ ოპოზიციასთან გამართულ კონსულტაცი-

ებს არ ექნება მხოლოდ ფორმალური სახე და საკონსტიტუციო რეფორმასთან დაკავშირებით შევძლებთ რეალური კომპრომისების მიღწევას. იმავდროულად, მიგვაჩნია, რომ დიალოგი ზოგადად არის ხელისუფლებას და ოპოზიციას შორის ურთიერთობის ნორმალური და დემოკრატიული ფორმატი.

ამდენად, თუკი საკონსტიტუციო რეფორმის საკითხზე ხელისუფლების და ოპოზიციის თანამშრომლობის პოზიტიური პრეცედენტი შედგა, იმედს გამოვთქვამთ, რომ მომავალში შესაძლებელი იქნება ამავე რეჟიმში განხილული საარჩევნო გარემო, საგარეო პოლიტიკის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც, – აცხადებენ პარტიაში.



სოსო შატბერაშვილი: „არ შეიძლება აღაშენო, როგორცაა გაფორმებული სისტემა უნდა“

„ქოხებიდან“ სასახლეში გადასვლამ „ქართულ ოცნებას“ აზროვნება შეუცვალა“



მარიამ მჭედლიშვილი

ოპოზიცია იმედოვნებს, რომ კონსტიტუციის საბოლოო ვარიანტში აისახება ბევრჯერ გაცემული პირობა მაჟორიტარული არჩევნების გაუქმების შესახებ. „ახალი თაობა“ ამ და სხვა საკითხებზე ესაუბრა „მემარცხენე ალიანსის“ გენერალურ მდივან სოსო შატბერაშვილს.

სოსო შატბერაშვილი:

– მაჟორიტარული უმნიშვნელოვანესი საკითხია. რატომღაც პოლიტიკოსების ნაწილისთვის მთავარი საარჩევნო პრობლემა პრეზიდენტის არჩევის წესია. პრეზიდენტის ახლანდელი უფლებამოსილებები ისეთია, რომ მნიშვნელობა არა აქვს, მას ხალხი აირჩევს თუ ხმოსნების ჯგუფი. მაჟორიტარული საპარლამენტო არჩევნები და მაჟორიტარების ყოფნა კი პარლამენტში ანგერვდა და ანგრევს პოლიტიკურ სისტემას, ხელს უწყობს ვაჭრობასა და ფეოდალთა კასტის ჩამოყალიბებას. მაჟორიტარები ის ხალხია, რომელიც ადვილად გადადის ერთი პოლიტიკური ბანაკიდან მეორეში და არ აკეთებს საქმეს. მაჟორიტარების უმეტესობა თავისი ბიზნესის დაცვით არის დაკავებული.

– მმართველი პარტია, მიუხედავად იმისა, რომ მაჟორიტარული სისტემის გაუქმების პროექტი სახალხო დამოიცნა, ბოლოს მაჟორიტარულ სისტემას ვერ შეეღია.

– მმართველ პარტიას არ აწყობს პროპორციულ სისტემაზე გადასვლა. საკონსტიტუციო უმრავლესობა „ქართულმა ოცნებამ“ მაჟორიტარების ხარჯზე მოიპოვა. არადა, ეს დაპირება 2012 წლიდან გვესმის. წინა პარლამენტში „ქართული ოცნება“ იმით იმართლებდა თავს, რომ საკმარისი ხმები არ ჰქონდა, მმართველი კოალიცია კი ჭრელი იყო. ახლა სხვა მიზეზი აქვთ თავის გასამართლებლად – მაჟორიტარების წინააღმდეგობა.

– ეს სათადარიგო ვარიანტი ხელისუფლებას თავიდანვე ექნებოდა?

– მაჟორიტარებს ვერ ელევინა. რომ გვეუბნებიან, მაჟორიტარები გვეწინააღმდეგებიანო, შე დალოცვილო, ერთი გუნდი არ ხართ? ეს ხალხი თქვენი პარტიის სახელით არ მონაწილეობდა არჩევნებში? არ იცოდნენ, რა პროგრამა გქონდათ? ერთ ფილოსოფოსს აქვს ნათქვამი – სასახლეში ადამიანი სხვანაირად აზროვნებს, ქოხში კი – სხვანაირად.

„ქოხებიდან“ სასახლეში გადაბარგებამ „ქართულ ოცნების“ წევრებს აზროვნება შეუცვალა, თორემ, როცა ჩვენი თანამებრძოლები იყვნენ, როცა ყველას ერთად გვარბევდნენ და გვწამლავდნენ, მაშინ მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას ჩვენი ერთად მოითხოვდნენ. პარლამენტში, „ოცნების“ გარდა, სხვა პარტიებიც არიან. კეთილი ინებოს „ოცნებამ“, უზრუნველყოს მათი ხმების მობილიზება და შეასრულოს ის, რასაც ხალხს ჰპირდებოდა მაჟორიტარებთან დაკავშირებით.

– „ქართული ოცნების“ წევრების თქმით, ხალხს მაჟორიტარული სისტემა მოსწონს.

– ეს მტკნარი სიცრუეა. ხალხს ხელისუფლებაზე ბევრად ხშირად ვხვდები და მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ ჯერ არ შემხვედრია ადამიანი, რომელსაც მაჟორიტარული სისტემა უნდა. ადამიანები ყვებიან, როგორ ქრთამავენ მაჟორიტარობის კანდიდატებს არჩევნების წინ ამომრჩეველს, არჩევნების შემდეგ კი იკარგებიან.

ეს ყოველთვის ასე იყო. მაგალითად, ნიკოლეკიშვილი ამბროლაურში არიგებდა ვიდეო-



მაგნიტოფონებს, ტელევიზორებს და ყოველთვის იმარჯვებდა. სხვები ფევილსა და ზეტს გასცემენ. სამაგიეროდ, მერე პარლამენტში დანახარჯს ინაზღაურებენ და მოგებასაც იღებენ. მაჟორიტარები ნილში უსხდებიან სხვებს და სხვა გზებითაც ხელს ითხოვენ. რომ გაიძახიან, რეგიონს წარმომადგენელი უნდა ჰყავდესო, ბევრი მაჟორიტარი რეგიონის კი არა, მილიონერთა კლანს, ფეოდალების კლასს წარმოადგენს. ოქრიაშვილი და მისთანები პარლამენტში იცავენ საკუთარ ბიზნესს და ერგებიან ყველა ხელისუფლებას.

– პარლამენტში მაჟორიტარების საქმე

სამეურნეო საკითხების მოგვარება არასდროს ყოფილა. ამ მხრივ საკრებულოების მაჟორიტარების საქმიანობა როგორ შეიძლება შეფასდეს?

– სამეურნეო საკითხების მოსაგვარებლად არიან მერები, გამგებლები, საკრებულოები. მაჟორიტარების საქმე პარლამენტში პოლიტიკური მაიმუნობაა და მეტი არაფერი, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მათ არც ევალებათ ისეთი ყოფითი პრობლემების მოგვარება, როგორებიც არის სახურავის შეკეთება, გზის დაგება, ბოსლის აგება და ა.შ. ბევრჯერ მიყრია კენჭი და ჩემთვისაც მოუთხოვიათ ასეთი საკითხების გადაჭრა. მე გულწრფელად ვუხსნიდი ამომრჩეველს, რას გავაკეთებდი და რას – ვერა. მაჟორიტარებს პარლამენტში თავის დროზე პატარა ფეოდალები უწოდებდნენ ივანე ივანიშვილმა. ამ მაჟორიტარებს იმხელა გასაქანი აქვთ და ისინი ისეთ საქმეებში ერევიან, რომ პრეზიდენტზე მეტი უფლებები აქვთ.

– ამ დროისათვის თბილისის მერობის 5 კანდიდატია დასახელებული. კონკურენტულია ეს არჩევნები?

– სხვებიც იქნებიან. კანდიდატების რაოდენობა, ასე, 12-მდე ავა. ამ ეტაპზე უძლიერესი პოზიციები აქვს მმართველი გუნდის წარმომადგენელ კახი კალაძეს. ამის მთავარი მიზეზი ისევ ბიძინა ივანიშვილის დიდი ავტორიტეტია. მეორეც, მას ხმას მისცემენ საორტის გულშემატკივრები. გარდა ამისა, კალაძემ თავი გაართვა მინისტრობას. თუ ჯანსაღი ოპოზიცია მიიღებს ჩემს მოწოდებას და ერთიან ღირსეულ კანდიდატზე შევთანხმდებით, მაშინ სხვა სიტუაცია შეიქმნება. ამჟამად კალაძე უაღვრესად კლინა ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი. რა იქნება 2 ან 5 წლის შემდეგ, არ ვიცი, ახლა კი ასეთი რეალობაა.

დავით უსუფაშვილი პრაიმერს – ურემი უკვე გადაბრუნებულია, მაგრამ მისი ფანჯრა დაყენება ჯერ კიდევ შესაძლებელია

– ბატონო პრემიერ-მინისტრო, წინ ორი გზაა – თქვენი პოლიტიკური გუნდი ან ბოლომდე მიიყვანს 2015 წელს დაწყებულ საქმეს და 2020 წლის არჩევნები პროპორციული სისტემით ჩატარდება, ან იგი ერთპარტიულ ავტორიტარიზმს დაისახავს მიზნად და ამ მიზანს შეელენება, როგორც ყველა მისი წინამორბედი.

ამის შესახებ პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი აცხადებს, რომელიც პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს ღია წერილით მიმართავს.

უსუფაშვილი მიიჩნევს, რომ საკონსტიტუციო საკითხებზე „ურემი უკვე გადაბრუნებულია“, თუმცა პრემიერს მკვეთრი პოლიტიკური ნაბიჯებით სიტუაციის გამოსწორება შეუძლია.

– როგორც თქვენი განცხადებებიდან ჩანს, შექმნილმა ვითარებამ საკონსტიტუციო პროცესში აქტიურად ჩართვა გადაგაწყვეტინათ, რაც მისა-



საღმებელია. ბევრი, მათ შორის მეც, ყოველთვის თვლიდა, რომ ქვეყნის უმაღლესი პოლიტიკური ლიდერის ქვეყნის უმთავრეს პოლიტიკურ პროცესში არ მონაწილეობა დაუშვებელი იყო. სამწუხაროდ, „ურემი უკვე გადაბ-

რუნებულია“, მაგრამ თქვენი მკვეთრი პოლიტიკური ნაბიჯებით მისი ფანჯრა დაყენება ჯერ კიდევ შესაძლებელია.

მიმდინარე საკონსტიტუციო პროცესში საკონსტიტუციო უმრავლესობასთან დაკავშირებული ხიფათების ქრესტომათიული მაგალითი შეიქმნა. თქვენ შეგიძლიათ პოზიტიური მაგალითი შექმნათ ამავე მიმართულებით – ქვეყანას თავიდან ააცილოთ სერიოზული პოლიტიკური კრიზისი და თან საკუთარი პარტიაც იხსნათ უკვე დაშვებული შეცდომების შემდგომი მძევლობისგან. თუ მოხერხდება საკითხის გააზრება უფრო ფართო პოლიტიკურ პრიზმაში, ვიდრე ეს მომავალ არჩევნებში

საკონსტიტუციო უმრავლესობის შენარჩუნების ამოცანაა, მაშინ გამოსავალიც მარტივად გამოჩნდება და მისი დასაბუთებაც.

კონსტიტუციის ახალ რედაქციასთან ბევრი სამართლებრივ-პოლი-

ტიკურ-ინსტიტუციური კითხვა არსებობს, მაგრამ, დამთავრებით, კრიზისული ფონის შექმნა საპარლამენტო საარჩევნო სისტემას უკავშირდება. ვითარებას კი ის ამძიმებს, რომ „ოცნების“ პოზიცია სწორედ ამ საკითხშია ყველაზე სუსტი, უარგუმენტო და „პულტების ანაბარა“ დარჩენილი. საქმე იმაშია, რომ 2020 წლისთვის პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა არის არა ოპოზიციის ახირება, არამედ თავად „ოცნების“ 2015 წლის საკონსტიტუციო ინიციატივა, სათანადოდ გაფორმებული, დარეგისტრირებული, სახალხო განხილული, საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ მოწონებული და პარლამენტში კენჭისყრისთვის მომზადებული.

ეს არ არის მხოლოდ ისტორიული ფაქტი. ეს არის პოლიტიკური განაცხადიც, დაპირებაც და ვალდებულებაც, რომლის არ შესრულება ძალიან ძვირად დაუჯდება და დაუჯდება წესისმიერ პოლიტიკურ ძალას. სწორედ ამ ფონზე გამოიყურება განსა-

კუთრებით უსუსურად, მეტი რომ არ ვთქვა, ხელისუფლების წარმომადგენლების ნებისმიერი არგუმენტი მრეულო სისტემის დატოვებასთან დაკავშირებით. მაგალითად, ქვეყნის პარტიულ-პოლიტიკური სისტემა 2015 წელს გამოიყურებოდა მზად პროპორციული არჩევნებისთვის და 2017-ში ეს ასე აღარ არის? თუ ასეა, რა ჩაიდინა ამისთანა „ოცნებამ“ ამ ორ წელშიადაში, რომ ასე უუღლამ დატრიალებულა ქვეყნის პოლიტიკური სისტემის განჯანსაღების ბოროლი?

ბატონო პრემიერ-მინისტრო, წინ ორი გზაა – თქვენი პოლიტიკური გუნდი ან ბოლომდე მიიყვანს 2015 წელს დაწყებულ საქმეს და 2020 წლის არჩევნები პროპორციული სისტემით ჩატარდება, ან იგი ერთპარტიულ ავტორიტარიზმს დაისახავს მიზნად და ამ მიზანს შეელენება, როგორც ყველა მისი წინამორბედი. მასსოვს, ჩვენი საერთო ოცნება მსგავსი შედეგებისგან ქვეყნის დაზღუდვა იყო... – აცხადებს უსუფაშვილი.

ეკა ბასალია: „ცვლილებას, რომელიც კანონში უნდა აისახოს, ეპროპოსი გაუწყობა კავშირმა მაღალი შეფასება მისცა“

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია სიცრუეში ადანაშაულებს ტელეკომპანიებს, რომლებმაც „საზოგადოებრივ მაუწყებელთან“ დაკავშირებით კანონში დაგეგმილ ცვლილებებზე გუშინ ერთობლივი განცხადება გაავრცელეს.

როგორც ბესელია განმარტავს, ცვლილებებს, რომელიც კანონში უნდა აისახოს, ევროპის მაუწყებელთა კავშირმა მაღალი შეფასება მისცა.

– მცდარი ინფორმაცია, თითქოს ამ პროცესში არავინ იყო ჩართული, როცა ექვსი თვის განმავლობაში, სამუშაო ჯგუფის ფორმატში ეს წინადადებები მუშავდებოდა. არც ერთი ორგანიზაციის მხრიდან არც ერთი წინადადება არ შემოსულა.

მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ, როცა საკანონმდებლო პაკეტის ინიცირება მოხდა, ერთი ორგანიზაციის მხრიდან რამდენიმე საკითხზე მოსაზრება მივიღეთ. არავის შემოუთავაზებია არც ერთი წინადადება და კომენტარი. სამუშაო ჯგუფში მონაწილე იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციები.

როცა სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, დაასახე-

ლეს წარმომადგენლები, რომლებიც რამდენიმე ორგანიზაციას წარმოადგენდნენ. მათ შორის იყო „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მედია ექსპერტები და მათგან არცერთი წინადადება არ მიგვიღია. რაც შეეხება იმას, თითქოს ამას არცერთი ექსპერტული მოსაზრება არ ახლავს, ევროპის მაუწყებელთა კავშირისა და მეორე ევროპული ორგანიზაციის ორი ექსპერტული მოსაზრებაა.

ევროსაბჭოს ეგდით ექსპერტიზა ჩატარდა და ევროპის მაუწყებელთა კავშირმა ამ წინადადებებს ძალიან მაღალი შეფასება მისცა. ასე რომ, ეს არის მეორე სიცრუე, რომელიც ამ განცხადებაშია. მესამე – თუ კონკურენციის პრობლემა და მესამის, რომ ტელევიზიებს კონკურენციის თემა აქვთ და მაუწყებლის მიმართ სხვადასხვა ტელევიზიების მხრიდან სხვადასხვა განწყობები არსებობს, ეს სხვა თემაა. ამის მიუხედავად, შესვდრისთვის მზად ვართ, მათი დამატებითი არგუმენტები მოვისმინოთ არა პოლიტიკური განწყობით, არამედ წმინდა სამართლებ-



რივი და ობიექტური არგუმენტების გათვალისწინებით.

შემიძლია, გაჩვენოთ ერთ-ერთი სიცრუე, რომელიც განცხადებაშია – ესაა ევროპის მაუწყებელთა დაცვანა, რომელიც ევროპის საბჭოს ოფისმა გააგზავნა და ეს არის მათ მიერ გამოგზავნილი შეფასების დოკუმენტი, რომელიც მათ შორის ეხება რეკლამის საკითხს, დაფინანსების საკითხს, სახელმწიფო შესყიდვების საკითხს, მართვას, ხელმძღვანელობას ანუ ყველა იმ პუნქტს, რომელიც გაკრიტიკებული აქვთ ამ განცხადებაში. შეფასების თვალსაზრისით, მედია სფეროში ევროპის მაუწყებელთა კავშირი ყველაზე მაღალი ლეგიტიმაციის ორგანოა, ამ საკითხებს ძალიან მაღალ და დადებით შეფასებას აძლევს. სხვა საკითხი კონკურენციის პრობლემა, რომელიც ტელევიზიების ერთმანეთში აქვთ – ამაზე შეიძლება ერთმანეთს ელაპარაკონ. სამართლებრივ საკითხებზე მზად ვართ, რომ მათ მოვუსმინოთ, – განუცხადა ჟურნალისტებს ეკა ბესელიამ.

გიორგი მარგველაშვილი: „მოუწოდებ საპარლამენტო უმრავლესობას, არ იძალადოს პოლიტიკურ პროცესზე“

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის ინიციატივას დიალოგის დაწყებასთან დაკავშირებით მიესალმება. პრეზიდენტმა, ასევე უმრავლესობას წინადადებით მიმართა, რომ პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის მოხდენისგან თავი შეიკავოს და დიალოგში ჩაერთოს.

– მინდა მივსალამო პრემიერის წინადადებას, დიალოგის ინიციატივას. მოვუწოდებ ოპოზიციას, პოლიტიკურ ჯგუფებს, სამოქალაქო საზოგადოებას, აქტიურად ჩაერთოს პროცესში, რათა კონსტიტუციაზე შედგეს თანხმობა. მინდა მოვუწოდო საპარლამენტო უმრავლესობას, არ იძალადოს პოლიტიკურ პროცესზე და იყოს დიალოგში, – განაცხადა მარგველაშვილმა.





2 ხელისუფლების ერთი დაუსრულებელი გზა – რატომ გაჭიანურდა თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალის მშენებლობა?

თბილისი-რუსთავის დამაკავშირებელი ავტომაგისტრალი – პროექტი, რომელმაც ორ ქალაქს შორის მანძილის ხანგრძლივობა შეიძლება უნდა შეამციროს, მოძრაობა განტვირთოს და უსაფრთხო გადაადგილებას ხელი შეუწყოს, ჯერ კიდევ მშენებლობის პროცესშია.

მშენებლობა 2012 წლის აგვისტოში საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გახსნა. მაშინ იყო საუბარი, რომ გზის მშენებლობა ორ წელში უნდა დასრულებულიყო. ახალი ხელისუფლების პირობებში, პროექტი გარკვეული პერიოდი შეჩერებული იყო, რის გამოც ექსპრეზიდენტი მოქმედ ხელისუფლებას ადანაშაულებდა კიდევ, თუმცა მაშინ დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ მიხეილ სააკაშვილის საპასუხოდ განაცხადა, რომ ტენდერი ხელახლა ჩატარდებოდა და პროექტი აუცილებლად დასრულდებოდა.

ოფიციალურად ისიც ითქვა, რომ ამ მაგისტრალთან დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოები კომპანია „ნიუ ენერჯი“ უნდა შეესრულებინა, თუმცა მათ ბიუჯეტის დავალიანება ჰქონდათ, ტენდერში გამარჯვების შემდეგ გარანტიის უზრუნველყოფა ვერ წარმოადგინეს, ამიტომ პროექტს გამოეთიშნენ.

2014 წელს ხელახალი ტენდერის ჩატარების შემდეგ, აღნიშნული მაგისტრალის მშენებლობა გაგრძელდა. გზის პირველი და მესამე მონაკვეთის მშენებლობა 2016 წელს დასრულდა, ახლა კი მეორე ნაწილის მშენებლობა მიმდინარეობს, რომლის პროექტსაც თურქული კომპანია „სეზა ინშაათი“ ახორციელებს.

როგორც „კომერსანტს“ მუნიციპალური განვითარების ფონდში განუცხადეს, თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის მეორე მონაკვეთის მშენებლობა 2016 წელს დაიწყო და ორ წელში დასრულდება.

ოფიციალური განმარტება, რის გამოც



მშენებლობა ამ დრომდე არ დასრულებულა, არის ის, რომ თავდაპირველ პროექტში, რომელიც 2011-2012 წლებში შედგა, გზის გარე განათების ქსელის და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოწყობა გათვალისწინებული არ იყო.

აღსანიშნავია ისიც, რომ თავიდანვე ითქვა, ახალ მაგისტრალს უსაფრთხო გადაადგილების პრობლემები უნდა მოეხსნა. ბოლო წლებში ავტოსაგზაო შემთხვევების დიდი ნაწილი სწორედ რუსთავის მიმართულებით მიმავალ გზაზე ხდება, ამდენად ავტომაგისტრალის მშენებლობის დასრულება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანადაც შეიძლება ჩაითვალოს.

რამდენად შეუწყობს ხელს აღნიშნული მაგისტრალი უსაფრთხო გადაადგილებას და რატომ იწვევს დროში ასეთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება? როგორც „კომერსანტთან“ საუბრისას ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის ხელმძღვანელმა დავით მესხიშვილმა განაცხადა, პროექტის მოკლე დროში დასრულება სასურველია, რადგან რუსთავი უახლოეს პერიოდში სწრაფი ტემპებით განვითარდება და მასთან დედაქალაქიდან სწრაფი კომუნიკაცია

აუცილებელია.

– კარგი იქნებოდა თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალი მოკლე ვადებში დასრულებულიყო, რადგან ამ გზას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს რუსთავის განვითარებისთვის. ეს ქალაქი ბევრი მიმართულებით საინტერესო გახდა, მათ შორის თბილისისთვის იმიტომ, რომ ბევრი სავაჭრო ობიექტი, მათ შორის ავტომობილების ბაზრობა, მომსახურების სააგენტო სწორედ აქ მდებარეობს და კიდევ სხვა გეგმიც არის, რაც რუსთავს უკავშირდება. ეს ნიშნავს იმას, რომ ქალაქი უახლოეს პერიოდში სწრაფი ტემპებით განვითარდება. ამისთვის საჭიროა ახალი გზა და სწრაფი კომუნიკაცია რუსთავთან. ეს პროექტი დროშია განვლილი და სასურველი იქნება თუკი დროულად დასრულდება, – აღნიშნა მესხიშვილმა.

მისივე განმარტებით, დროში გაჭიანურების შემთხვევები დედაქალაქისა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე მიმდინარე მშენებლობების ხშირი პრობლემაა, რადგან გამოუცდელი კომპანიები დაკისრებულ მოვალეობას ვერ ასრულებენ, რასაც ტენდერებში არსებულ პრობლემებამდე მივყავართ.

– ეს დროში გაჭიანურების პირველი შემთხვევა არ არის. თბილისის მერიის შემთხვევაში ძალიან ბევრი დაუსრულებელი ან ცუდად დასრულებული პროექტი ვიცით, იგივე ხიდების შეკეთება, მაგალითად, ზაპსის ხიდი, რომელიც შეკეთების შემდეგ ჩაინგრა. ხშირად ასეთ ფაქტებზე მერიის პასუხი ასეთია, რომ კონტრაქტორმა პირობები არ შეასრულა და ამიტომ შეწყდა ხელშეკრულება. ეს მიგვანიშნებს ტენდერებში არსებულ პრობლემებზე, რაც ცალკე საკითხია.

ძირითადი აქცენტი იმაზე კეთდება, რომ თანხა ცოტა დაიხარჯოს, მაგრამ შესრულებული

სამუშაოების ხარისხი მეორეხარისხოვანია. საბოლოოდ, გზების რეაბილიტაცია, მშენებლობა ორმაგი ჯდება. ეს ზოგადი პრობლემაა და განსაკუთრებით დედაქალაქსა და მის მიმდებარე ტერიტორიებს ეხება. ხშირ შემთხვევებში საქმედამოუცდელ კომპანიებთან გვაქვს, რომლებიც დაკისრებულ სამუშაოებს თავს ვერ ართმევენ, – განაცხადა მესხიშვილმა.

ამასთან, მისი თქმით, მაგისტრალის მშენებლობა დასრულებულად მაშინ ჩაითვლება, როცა არა მხოლოდ გზა და საფარი დაიგება, არამედ ინფრასტრუქტურა მთლიანად მონესრიგდება, რადგან ავტოავარიების მიზეზი ხშირად სწორედ მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურაა.

– საერთოდ, როდესაც გზის დასრულებაზე ვსაუბრობთ, ეს გზა მხოლოდ ასფალტ-ბეტონის საფარი გვკონია. დასრულებულად ჩაითვლება მაშინ, როდესაც გზაზე ქვეითად მოსარულეების ინფრასტრუქტურა, საგზაო მონიშვნები, გარეგანათების ბოძები იქნება დამონტაჟებული.

ყველა ეს კომპონენტი გათვალისწინებულია, რომ იქნება, ჩავთვლით, რომ დასრულდა. ვხედავთ, რომ ხშირ შემთხვევებში, როცა გზები დაუსრულებელ მდგომარეობაში იხსნება, ეს ხელს უწყობს საგზაო შემთხვევების წარმოქმნას. ზოგადად რუსთავის მიმართულებით ბევრი ავარია ხდება.

საპატრულო პოლიციისთვის მთავარი ორიენტირი მძღოლი კი არ უნდა იყოს, რომელიც ავტოსაგზაო შემთხვევის მოხდენის გამო, ჯარიმდება, მიზეზებს ექსპერტები უნდა სწავლობდნენ, ხომ არ იყო ეს საგზაო მონიშვნის, გარე განათების ან არასებობის ბრალი და ა.შ. – აღნიშნა დავით მესხიშვილმა.

თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის სამივე მონაკვეთის მთლიანი სიგრძე 17,4 კმ-ია. მთლიანად სამშენებლო სამუშაოების საკონტრაქტორ ღირებულება 119 მილიონამდე ლარია. პროექტი აზიის განვითარების ბანკის მფარველი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს.

„აზარტული თამაშების ბიზნესის ბრუნვა უფრო მეტია, ვიდრე ენერგოპროდუქტის“

– თუ ონლაინკაზინოების სივრცე არ ჩაიკეტა, არანაირი რეგულაციები ამ მიმართულებით მნიშვნელობა არ ექნება.

ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა დეპუტატმა ლევან გოგიჩაიშვილმა სისტემური ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების შესახებ საკანონმდებლო ცვლილების კონცეფციაზე საუბრისას განაცხადა.

გოგიჩაიშვილი აღნიშნულ თემაზე მომუშავე პარლამენტში შექმნილი ჯგუფის ხელმძღვანელია.

სრულყოფილი კანონპროექტის წარდგენა მომუშავე ჯგუფის მხრიდან პარლამენტისთვის საშემოდგომო სესიამდე მოხდება, რომელზეც მუშაობასაც პარლამენტი თავად განაგრძობს.

კონცეფციის შესაბამისად, გამოირცხული არ არის, რომ აზარტულ თამაშებზე წვდომის ასაკობრივი ცენზი დაწესდეს. ლევან გოგიჩაიშვილის განცხადებით, ერთადერთი გამოსავალი, რომ საზოგადოება იყოს დაცული და ქვეყანად თავიდან აიცილოს სოციალური კატასტროფა, არის ის, რომ სახელმწიფომ შეზღუდოს ონლაინსივრცე და „ეს ყველაფერი მიმართული იყოს მინაზე, სადაც სახელმწიფოსთვის კონტროლი იქნება შესაძლებელი“.

ლევან გოგიჩაიშვილის თქმით, კონცეფციის შემუშავებაში ჩართული

არაიან არასამთავრობო ორგანიზაციები, მთავრობის წარმომადგენლები და დეპუტატები.

– ჩვენ გვაქვს აზარტული თამაშების მზარდი ბიზნესი. 2012 წელთან შედარებით ათჯერ არის ბრუნვა გაზრდილი.

უფრო მეტია ბრუნვა, ვიდრე ეს არის მაგალითად, ენერგეტიკაში. ჩვენი ხედვა არის ის, რომ უნდა შეიქმნას მარეგულირებელი კომისია, რომელიც შეისწავლის და დაგეგმავს ამ სფეროს პოლიტიკას.

მეორე მიმართულებაა ონლაინ აზარტული თამაშები, რაზეც უდიდესი პრობლემა შეუქმნა ოჯახებს. ამ მიმართულებით კარგი გამოსავალი არის ის, რომ თამაშები გადმოვიდეს მინაზე და მინაზე განხორციელდეს შეზღუდვა. ასევე უნდა გაკონტროლდეს არასრულწლოვნების ვერსიონები დაწესებულებებში და ასევე უნდა ვიზრუნოთ ასაკის გაზრდაზე.

ამ ყველაფრით გავაკონტროლებთ ფულის შესაძლო გათვთრებას, შავი ფულის ტრიალს და ა.შ. ამ ყველაფრის ელექტრონული კონტროლი არის წარმოუდგენელი. ერთადერთი გამოსავალი, რომ საზოგადოება დავიცვათ და ავიცილოთ თავიდან სოციალური კატასტროფა, არის ის, რომ სახელმწიფომ შეზღუდოს ონლაინსივრცე და ეს ყველაფერი მიმართული იყოს მინაზე, სადაც სახელმწიფოს

თვის კონტროლი იქნება შესაძლებელი, – განაცხადა ლევან გოგიჩაიშვილმა.

გოგიჩაიშვილმა აქცენტი ამ ბიზნესის სფეროს წარმომადგენლებზეც გააკეთა და აღნიშნა:

– ყოველწლიურად 500 და 600 მილიონის დაკარგვა არავის არ უნდა, თუმცა ისინი ფულს შოულობენ და მოსახლეობა ილუბება, ამიტომ ჩვენ სახელმწიფოსთვის საუკეთესო გამოსავალი უნდა მივიღოთ. ეს ბიზნესი არაფერს დაკარგავს, როდესაც მათ მინაზე გადასვლა მოუწევთ, ეს სახელმწიფოს უფრო მეტ ეკონომიკურ შედეგს მოუტანს. კერძოდ, მეტი სამუშაო ადგილი, გასაქირავებელი ფართები და სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობა.

დეპუტატის თქმით, საპარლამენტო უმრავლესობის დიდი ნაწილი მომხრეა, რომ ონლაინსივრცეები შეიზღუდოს, როგორც გოგიჩაიშვილმა აღნიშნა, ერთ-ერთი განსახილველი მოსაზრება არის ის, რომ საერთაშორისო სერვერებზე წვდომის შეზღუდვა მოხდეს.

როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლაშა ხუციშვილი აღნიშნულ თემაზე კომენტარებისას აცხადებს, თვითშეზღუდვის არსებობა მნიშვნელოვანია. ხუციშვილის განცხადებით, ფისკალური ეფექტის დათვლა მას შემდგომ განხორციელდება, რაც



კანონპროექტი საბოლოო სახეს მიიღებს.

– ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი ინიციატივაა თვითშეზღუდვის არსებობა მისათვის, რომ ვისაც სურვილი ექნება შესაძლებლობა მიეცეთ აღნიშნულ თამაშებში ჩართულობა ალარ იყვნენ. რაც შეეხება ფისკალურ ეფექტს, მისი დათვლა მას შემდგომ განხორციელდება, რაც კანონპროექტი საბოლოო სახეს მიიღებს და საქართველოს პარლამენტში დარეგისტრირდება, როგორც კანონპროექტი.

ვფიქრობ, რომ საბიუჯეტო შემოსავლების ნაწილში არსებითად ძალიან დიდ ცვლილებას არ უნდა ველოდოთ. რაც შეეხება აკრძალვასთან დაკავშირებით ჩვენ პოზიციას ვფიქრობ, რომ ეს გამოსავალი არაა. ეს დაკავშირებულია უცხოურ საიტებზე თამაშის

შესაძლებლობასთან. ერთადერთი რაც შეიძლება ამ შემთხვევაში მივიღოთ, იქნება ის, რომ იმ თანხის გათვალისწინებით, რაც საქართველოში ხდება, ქვეყნის გარეთ გავა, – აღნიშნა ლაშა ხუციშვილმა.

სისტემურ ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების შესახებ საკანონმდებლო ცვლილების კონცეფციის განხილვას არასამთავრობო ორგანიზაციებიც ესწრებოდნენ, როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ წარმომადგენელმა, ლევან ნატროშვილმა განაცხადა, „ამ კუთხით ლიბერალური მიდგომა უნდა შენარჩუნდეს, რადგან ზოგადად აზარტული თამაშები ტურისტების ბიზნესისთვის მნიშვნელოვანია. რაც შეეხება ბიზნესექტორს, მათთან შეხვედრა აუცილებელია.“

ქალაქის 500-მდე მკვიდრი დაჯარიმდა

ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორ თემურ ფხალაძის განცხადებით, თუ პატრონმა ცხოველის მიერ ფეკალით დაბინძურებული გარემო არ დაასუფთავა, სააგენტო უფლებამოსილების ფარგლებში რეაგირებს და მოქალაქის დაჯარიმება ხდება.

– ვაჯარიმებთ იმ ადამიანებს, რომლებმაც ცხოველის მოვლა-პატრონობის წესი დაარღვეეს. ასეთი შემთხვევები საკმაოდ ხშირად არის, მაგრამ ცხოველების მოვლა-პატრონობის წესის დაცვის მიმართულებით მოსახლეობის ცნობიერება ეტაპობრივად, თანდათან მატულობს. საამისოდ სააგენტომ ძალიან ბევრი ღონისძიება განხორციელა სოციალური თუ სხვა სახის რეკლამის განხორციელებით, – განაცხადა ფხალაძემ.

მისივე თქმით, სააგენტომ წელს შინაური ცხოველების პატრონებზე 500-მდე საჯარიმო ქვითარი გამოწერა, რადგან მათ ცხოველთა მოვლა-პატრონობის წესი დაარღვეეს.

ფხალაძის განმარტებით, ჯარიმის ოდენობა 8 ლარიდან იწყება და განსხვავებულია, ვინაიდან დამოკიდებულია იმაზე, თუ სად მოხდა დაჯარიმება, იყო თუ არა განმეორების შემთხვევა და ასე შემდეგ.

საუჩინოესი 2040-სთვის ბენზინსა და დიზელს მომუშავე მანქანებს აკრძალავს

The Independent-ის ცნობით, 2040 წლისთვის საფრანგეთში ბენზინსა და დიზელზე მომუშავე ავტომობილები ლეგალური აღარ იქნება. აღნიშნულთან დაკავშირებით განცხადება ქვეყნის ახალმა გარემოს დაცვის მინისტრმა ნიკოლა პულომ გააკეთა.

ამ მხრივ საფრანგეთი იქნება ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა, რომელიც კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით პარიზის შეთანხმების შედეგად აღიარებულ ვალდებულებებს შეასრულებს.

– ჩვენ გვინდა, კლიმატთან დაკავშირებულ პოლიტიკაში მოწინავე ადგილი გვკავოს, – განაცხადა მინისტრმა.

აქვე შეგახსენებთ, რომ შედურმა ავტომწარმოებელმა, Volvo-მ 2019 წლიდან მხოლოდ ჰიბრიდებისა და ელექტრომობილების წარმოებასთან დაკავშირებით მიიღო გადაწყვეტილება.





საიას „პანორამა თბილისის“ საქმეზე სასამართლოს სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება სურს



საია სააპელაციო სასამართლოსგან „პანორამა თბილისის“ საქმეზე პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების გაუქმებას ითხოვს. სააპელაციო საჩივარი საიამ გუშინ შეიტანა. საია თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას ითხოვს, რომლის თანახმადაც, უარი ეთქვა „პანორამა თბილისის“ მშენებლობასთან დაკავშირებული სარჩელის განხილვაზე.

როგორც საიას იურისტმა სულხან სალაძემ აღნიშნა, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად გასაჩივრების ვადის გაშვება დაედო. მისივე თქმით, საიას სარჩელის მომზადებისას კანონით დადგენილი ვადა არ დაურღვევია და სამართალწარმოება მაშინ დაიწყო, როდესაც „პანორამა თბილისის“ მშენებლობასთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია მიიღო.

მიგვანია, რომ საქალაქო სასამართლო ვერ გაერკვა საკითხის არსში სრულად. სასამართლო მსჯელობას გაშვებული ვადის აღდგენის არასაპატიო მიზეზზე და ამ მოტივით უარს გვეუბნება საქმის განხილვაზე. ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ გასაჩივრების ვადა ვერ იქნებოდა გაშვებული, რადგანაც გასაჩივრების უფლება წარმოგვეშვა მხოლოდ მაშინ, როცა მივიღეთ სრული დოკუმენტაცია, მათ შორის ის კონკრეტული რუკა, რომელიც ადასტურებს, რომ „პანორამა თბილისის“ ორივე მშენებლობა, სოლოლაკის მაღლობი და სოლოლაკის ბაღები, მიმდინარეობს ქალაქის ისტორიულ ლანდშაფტის დაცვის ზონაში. აღნიშნულ ზონაში კი მშენებლობა დაუშვებელია, — განაცხადა სულხან სალაძემ და აქვე დასძინა, რომ მხოლოდ სამშენებლო ნებართვების საფუძველზე საია სარჩელს ვერ მოამზადებდა, ვინაიდან აღნიშნულ დოკუმენტაციაში არავითარი დარღვევა არ იყო, ხოლო კულტურის სამინისტროსგან მიღებული რუკის საფუძველზე დადგინდა, რომ მშენებლობა ქალაქის ისტორიულ ლანდშაფტის დაცვის ზონაში მიმდინარეობს, რაც დარღვევაა.

მიხეილ თათარიშვილის ბაბა: „ბატონ მიხეილს სძინავს და პოლიციას სხვა პარტაჟს“



— ჩვენს პოლიციის უფროსს, ბატონ მიხეილს სძინავს და პოლიციას სხვა პარტაჟს, — ამის შესახებ პრეზიდენტის შვილის მეგობრის, მიხეილ თათარიშვილის მამამ, ლადო თათარიშვილმა დღევანდელი სასამართლო პროცესის შემდეგ განაცხადა.

მისი თქმით, თუ მართლმსაჯულებას სიმართლე აინტერესებს, მისი შვილის მიმართ გამამართლებელი განაჩენი უნდა დადგეს.

— მაგრამ, რასაც ჩვენ ვუყურებთ, პროკურორი „უპრავებს“ პოლიციას ყოველგვარ უხამს საქციელს და ასეთ შემთხვევაში დადგება ის შედეგი, რაც პროკურატურას, პოლიციას და ხელისუფლების გარკვეულ შტოებს აინტერესებს. იქამდე, ვიდრე ხელისუფლებაში არ გატყდებიან ისინი, ვინც ჩადების ორგანიზატორები არიან და არ დაისჯებიან, ეს ყველაფერი ასე გაგრძელდება. აქ მართო ჩემს შვილზე არ არის საუბარი, აქ ლაპარაკია საქართველოს იმ ახალგაზრდებზე, რომლებსაც იქ დაუბღუდელი რამდენიმე პიროვნება აუბღუდრებს, ხოლო ჩვენს პოლიციის უფროსს, ბატონ მიხეილს სძინავს და პოლიციას სხვა პარტაჟს, — განაცხადა ლადო თათარიშვილმა.

ლეილა მუსტაფაევა მასზე უკანონო თვალთვალის განხორციელების ფაქტის გამოძიებას ითხოვს

აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუსთარლის მეუღლე ლეილა მუსტაფაევა სამართალდამცველებისგან, მასზე სავარაუდო უკანონო თვალთვალის განხორციელების ფაქტის გამოძიებას ითხოვს.

როგორც მუსტაფაევა ადვოკატის არჩილ ჩოფიკაშვილის განცხადებაში აღნიშნული, მუსტაფაევაზე თვალთვალის სავარაუდო ფაქტი ერთი კვირის წინ დაფიქსირდა. როგორც ჩოფიკაშვილი აღნიშნავს, შემთხვევის დროს აფგან მუსთარლის მეუღლე ერთ-ერთ კაფეში დაშვინ ალაღარლისთან ერთად იმყოფებოდა.

— 29 ივნისს, დაახლოებით 18:00 საათზე, თბილისში, ერთ ერთ-კაფეში ყოფნის დროს ლეილა მუსტაფაევამ, რომელიც უკვე გასვლას აპირებდა, სავარაუდოდ მოულოდნელად უცხო ჩანთა შენიშნა.

როდესაც გაკვირვებულმა მოიკითხა ჩანთის პატრონი და მიზეზი, მოულოდნელად შორიასლოს მდგომი საშუალო ასაკის მამაკაცი მას მივარდა, ხელიდან გამოსტაცა ჩანთა და გაიქცა შენობიდან. ლეილა მუსტაფაევა და დაშვინ ალაღარლი უცნობს გამოყვანენ, რათა გაერკვიათ მისი საქციელის მიზეზი, თუმცა ამ პიროვნებას გარეთ კიდევ 2 პირი ელოდებოდა და ყველა ერთად სწრაფი ნაბიჯებით გაშორდნენ ტერიტორიას.

შემთხვევის შესახებ ლეილა მუსტაფაევამ და დაშვინ ალაღარლიმ შეატყობინეს პოლიციას. ძველი თბილისის პოლიციის განყოფილებაში შედგა მათთან გასაუბრების ოქმები, სადაც დეტალურად აღწერეს მომხდარი.

ლეილა მუსტაფაევა და დაშვინ ალაღარლი ფიქრობენ, რომ მათ მიმართ ადგილი შესაძლოა ჰქონდეს უკანონო თვალთვალს და მიყურადებას და ეს დაკავშირებული იყოს აფგან მუსთარლის გატაცებასთან, მათ ჟურნალისტურ და ოპოზიციურ საქმიანობასთან, რომელიც იწვევს აზერბაიჯანის ხელისუფლების გაღიზიანებას. ქმედება შესაძლოა მიზნად ისახავდეს ლეილა მუსტაფაევას დაშვინებს, ჟურნალისტურ საქმიანობაში



ხელის შეშლას, რაც სსკ 154-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულია, — აცხადებს არჩილ ჩოფიკაშვილი.

მისივე თქმით, მომხდარიდან ერთი კვირა გავიდა და ჯერჯერობით ცნობილი არ არის უცნობის პიროვნება და მომხდარის მიზეზები.

— განხორციელებული ქმედება შეიცავს სიხლის სამართლის კოდექსის 151/1-ე (ადევნება) 154-ე (ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა) , 158-ე (კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა) მუხლებით გათვალისწინებული სავარაუდო დანაშაულის ნიშნებს, — აცხადებს არჩილ ჩოფიკაშვილი.

„ღარკა, შველა უნდოდა“ — ქართველი ემიგრანტი თურქმა დამსაქმებელმა მოკლა?

თურქეთში მოკლული 40 წლის მამაკაცის ოჯახი საქმის დროულ გამოძიებასა და დამნაშავეს დასჯას ითხოვს — საზარელი მკვლელობის ახალი დეტალები.

„ნიუპოსტისთვის“ თურქეთში, ბაირამ ფაშაში მოკლული კიდევ ერთი ქართველი ემიგრანტის, გივი მაჩაიძის მკვლელობის შესახებ ახალი დეტალები ხდება ცნობილი.

ახალგაზრდა კაცს მრავლობითი ჭრილობები თავის არეში აქვს მიყენებული. თურქული საგამოძიებო ორგანოების ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქე 28 ივნისს ურთიერთშეღებარაგების ნიადაგზე მოკლეს. ბრალდებული უკვე დაკავებულია.

როგორც „ნიუპოსტს“ არასამთავრობო ორგანიზაცია „ემიგრანტთა იმედის“ ხელმძღვანელმა შოთო სიხარულიძემ განუცხადა, მოქალაქეს ახლობლები 27 ივნისიდან ეძებდნენ.

სიხარულიძე, მოკლული ახალგაზრდას ოჯახის წევრებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ მაჩაიძე სახლიდან ყურბან ბაირამის დღესასწაულზე მეგობართან ერთად გავიდა. გარდაცვლილს ხელფასი უნდა აეღო.

მაჩაიძე ბოლო 8 წლის განმავლობაში ერთ-ერთ ფირმაში ე.წ. უთოზე მუშაობდა.

— არ გამოვრცხავ, რომ ყაჩაღობაც ყოფილიყო, მკვლელობის დღეს ხელფასი უნდა აეღო. ამ ეტაპზე გასარკვევია, თურქი მეგობარი ახლდა მას თუ ქართველი. როგორც მაცნობეს, მოკლულს ცივი იარაღით თავის არეში აქვს დაზიანებები მიყენებული. როგორც ვიცი, ცხედარს დღეს ჩამოსვენებენ და დათვალიერების შემდეგ ალბათ გაირკვევა, აღენიშნება თუ არა სხვა დაზიანებები, — განაცხადა სიხარულიძემ.

მისი თქმით, მოკლულის დამ აცნობა, რომ გივი მაჩაიძეს თურქეთის პროზექტურაში



მიაგნეს.

— დამ დახმარება მოხოვა, ამბობდა რომ თურქი სამართალდამცავები ყურადღებას არ მაცცვენ, თითქმის ჩემი ძმა ქათამი იყო. ოჯახის ერთადერთი მარჩენალი 40 წლის მამაკაცი იყო, მას ცოლ-შვილიც კი არ ჰყავდა. 8 წლის განმავლობაში ერთ-ერთ ფირმაში უთოზე მუშაობდა, — განაცხადა „ემიგრანტთა იმედის“ ხელმძღვანელმა.

„ნიუპოსტი“ მოკლულის ძმას მიხეილ მაჩაიძეს ესაუბრა. გარდაცვლილის ოჯახი ობიექტურ გამოძიებას და ამ საქმეში საქართველოს შესაბამისი სტრუქტურების ჩართვას ითხოვს.

— ჩვენ არანაირი ინფორმაცია არ გვაქვს, მედიისგან შევიტყვეთ, რომ ბრალდებული დაკავებულია, თუმცა ვინ იყო და რატომ მოკლა ჩემი ძმა უცნობია. ორშაბათიდან, მას შემდეგ რაც მისი კუთვნილი ტელეფონი გაითიშა, გივის მოძებნა დაიწყო. ინფორმაცია, მაქვს რომ მკვლელობის დღეს ხელფასი უნდა აეღო, ამიტომ არ

თბილისის ზღაპრი მანქანა გადაპარდა — გარდაცვლილია ორი ადამიანი

უბედური შემთხვევა თბილისში — 5 ივლისს, გვიან ღამით, ზღაპრი მსუბუქი ავტომობილი გადავარდა, რასაც მოჰყვა მსხვერპლი.

როგორც „ნიუპოსტს“ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში განუცხადეს, შემთხვევის ადგილზე მისულ მაშველებს ორი ადამიანი გარდაცვლილი დახვდათ, მყვინთავებმა შეძლეს ორი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა. დაშავებულები სამედიცინო დაწესებულებაში არიან მოთავსებული. ცხედრები კი პროზექტურაში გადაასვენეს.

დაშავებულები ამ დროისათვის სამედიცინო დაწესებულებიდან განწერეს და თავს კარგად გრძობენ. გარდაცვლილია ერთი რუსეთის მოქალაქე, იგი ჩენჩეთის რესპუბლიკიდან გუშინ

ჩამოვიდა მეგობართან ერთად. რაც შეეხება მეორე გარდაცვლილს, იგი ტაქსის მძღოლია, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ტაქსის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და „ოპელის“ მარკის ავტომობილი წყალში გადავარდა.

ადგილზე მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდნენ სამაშველო ჯგუფები. წყლიდან ავტომობილის ამოტანა მოხერხდა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს, საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლი 7-ე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც გამოიწვია ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.



რუსთაველი სასურსათო მაღაზიიდან თანხა გაიტანეს

რუსთაველი სასურსათო მაღაზიიდან თანხა გაიტაცეს. შემთხვევა წუხელ გვიან ღამით მოხდა.

შინაგან ინფორმაციით, ბრალდებული 40 წლამდე ასაკის მამაკაცია. ობიექტიდან დახლოებიდან 150 ლარამდე თანხაა წაღებული.

„ნიუპოსტს“ შსს-ში ქურდობის ფაქტი დაუდასტურეს.

ქობულეთში ქვეითად მოსიარულე არასრულწლოვანს ავტომობილი დაეჯახა

ქობულეთში არასრულწლოვან ქვეითად მოსიარულეს ავტომობილი დაეჯახა. არასრულწლოვანი საავადმყოფოში გადაიყვანეს და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება.

აპრილი გორი-თბილისის ავტომაგისტრალზე — დაშავებულია 3 ადამიანი

გორი-თბილისის ცენტრალურ ავტომაგისტრალზე მსუბუქი ავტომანქანა სამგზავრო მიკროავტობუსს შეეჯახა. დაშავებულია 3 ადამიანი.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება.



აშშ პოლონეთს პაპრიოზს მიაწვდის

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ვარშავაში ჩავიდა. ვიზიტის ფარგლებში პოლონეთის თავდაცვის სამინისტრომ და პენტაგონმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას პოლონეთისთვის პეტრიოტის ტიპის პაერსანინალმდეგო თავდაცვის სისტემის მიწოდებაზე.

აღნიშნულის შესახებ პოლონეთის თავდაცვის მინისტრმა ანტონი მაჩერევიჩმა განაცხადა.

მინისტრმა დააზუსტა, რომ პოლონური პაერსანინალმდეგო თავდაცვის კომ-

პლექსები აღჭურვილი იქნება მართვის უახლესი სისტემებით, ხოლო პირველი კომპლექსი პოლონეთს 2022 წელს მიეწოდება.

პოლონეთი პეტრიოტი 8 სისტემის შესყიდვას გეგმავს, რაც მას 7,5 მილიარდი აშშ დოლარი დაუჯდება.

მინისტრის თქმით, აღნიშნული კომპლექსების შესყიდვა პოლონეთს ნებისმიერი მტრის წინაშე უსაფრთხოებით უზრუნველყოფს და ეფექტური იქნება რუსული „ისკანდერების“ წინააღმდეგ.

ტრამპი და პუტინი სირიაზე ისაუბრებენ

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა რექს ტილერსონმა განაცხადა, რომ ტრამპისა და პუტინის შეხვედრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა სირიაში შექმნილი მდგომარეობა იქნება. უნდა უზრუნველყოფილ იქნეს ის, რომ უსაფრთხოების ზონებში სტაბილურობა იყოს, ანუ ასაღმა თავისი ოპონენტების მიმართ საომარი მოქმედებები არ უნდა აწარმოოს.

— ასადი რუსეთის კლიენტია.

შესაბამისად, რუსეთი ასადის მოქმედებებზე პასუხისმგებელია! — თქვა ტილერსონმა.

სახელმწიფო მდივნის აზრით, თუ პუტინ-ტრამპის შეხვედრისას სირიასთან დაკავშირებით შეთანხმების მიღწევა მოხერხდება, მაშინ ისლამური სახელმწიფო უახლოეს დღეებში განადგურებული იქნება.

— ამას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს, — აცხადებს ტილერსონი.



ვენესუელის პარლამენტში შეიარაღებული ხალხი შეიჭრა

ვენესუელაში დამოუკიდებლობის დღე აღნიშნეს. სამხედრო აღლუმის დასრულების შემდეგ ვიცეპრეზიდენტი თავდაცვის მინისტრ ლოპესთან ერთად პარლამენტში მივიდა და იქიდან თავის მომხრეებს მიმართა.

— ვენესუელის პარლამენტში უცხო ქვეყნების აგენტურამ დაიბუ-

და! პატრიოტებს მოვუწოდებ, მოლაღატებები აქედან განდევნონ და ქვეყნის დამოუკიდებლობა აღადგინონ!

ამის შემდეგ 50-მდე შეიარაღებული მამაკაცი პარლამენტის შენობაში შეიჭრა. ისინი იქ მყოფ დეპუტატებს ფიზიკურად გაუსწორდნენ. დაჭრილია რამდენიმე დეპუტატი.



აშშ მზალაა, ფხენიანის წინააღმდეგ ძალა გამოიყენოს

აშშ-ის წარმომადგენელმა გაეროში ნიკი პეილიმ განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეის პოლიტიკა ვაშინგტონს არჩევანს აღარ უტოვებს.

პეილიმ აღნიშნა, რომ უახლოესი დღეების განმავლობაში აშშ ჩრდილოეთ კორეას ახალ სანქციებს დაუწესებს. სამხედრო ძალის გამოყენებაც არ არის გამორიცხული.

— ჩვენ ეს არ გვინდა, მაგრამ ფხენიანი თავად გვიბიძგებს, რომ სამხედრო ძალა გამოვიყენოთ, — თქვა პეილიმ.

დიდმა ბრიტანეთმა აშშ-ს მხარი დაუჭირა, რუსეთი და ჩინეთი კი მოუწოდებენ, რომ აშშ-მ სამხრეთ კორეაში რაკეტასწინააღმდეგო სისტემა არ განალაგოს.

მოაშადა ნიკა თევზაძემ



Victoria's Secret-ის მოდელმა დონალდ ტრამპს აბინა

ამერიკელმა მოდელმა კომპანია Victoria's Secret-ის სახე კრისი ტიგენმა დონალდ ტრამპის პოსტს ტვიტერში უცენზურო პასუხი მიაწერა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი პორტალი ავრცელებს.



31 წლის მანკენმა უხეში ფორმით ურჩია სახელმწიფოს მეთაურს დაჭკვიანება და 71 წლის ტრამპს მისი წლოვანება მას შემდეგ შეახსენა, როდესაც მან თავის მხრივ გამოცემა ნიუ-იორკ თაიმსი გააკრიტიკა. ამასთან ტიგენმა საკუთარ კომენტარში ორჯერ გამოიყენა სიტყვა fuck.

— ჩავარდნილი @nutimes-ი ჩემზე ერთიმეორის მიყოლებით წერს მოგონილ ისტორიებს. არც კი მირეკვენ, რომ ფაქტები გადაამოწმონ, — დაწერა ქვეყნის მეთაურმა საკუთარ აკაუნტში, რითიც მოდელის აღშფოთება გამოიწვია.

ალსანიშნავია, რომ ტიგენს ადრეც გაუკრიტიკებია აშშ-ის პრეზიდენტი და მას ეამაყება ის, რომ ბოლო ორი წელია, სწორედ ამითაა დაკავებული. ჯერჯერობით დონალდ ტრამპს ტიგენის პოსტზე კომენტარი არ გაუკეთებია.

მოაშადა კანა ხატიაშვილმა

ფლორიდის სანაპიროსთან ზვიგენებმა იჩხუბეს

ამერიკის ფლორიდის შტატის კუნძულ ოკალუზას პლაჟთან თავთელში ზვიგენებმა იჩხუბეს. ამ ფაქტს უამრავი ადამიანი შეესწრო.

პლაჟზე მყოფმა სტივენს სტივენს ედვოკმა ფეისბუქში საკუთარ გვერდზე ამ მოვლენის ამსახველი ფოტოსურათი და ვიდეოჩანაწერი გამოაქვეყნა. მისი თქმით, ნაპირთან შვიდი ზვიგენი მოცურდა. დამსვენებლები ნაპირს მიაწყდნენ, წყალში მხოლოდ მისი ახლობლის შვილი დარჩა, რომელიც სპეციალური მოწყობილობით ყვინთავდა. ედვოკის მეუღლე მას წყლიდან ამოსვლაში დაეხმარა. შედეგად არავინ დაშავებულა.

ხალხმა თავი ზვიგენების წყვილის მახლობლად მოიყარა, რომლებმაც თავთელ წყალში ჩხუბი გამართეს. მტაცებელი თევზები სანაპიროდან დაახლოებით 60 სანტიმეტრის დაშორებით, დაბალ წყალში დაცურავდნენ. დაახლოებით ათი წუთის შემდეგ ისინი სანაპიროს გამოდნენ.

მაშველის აზრით, რომელიც პლაჟზე მორიგეობდა, ეს აურზაური მოაწვევს ან მარჯნის, ან თავჩაქურჩა ზვიგენებმა. ეს უკანასკნელები სიგრძეში 3,5-4 მეტრს აღწევენ. ისინი მეტად აგრესიულები არიან და ადამიანებს საფრთხეს უქმნიან. კარბის მარჯნის ზვიგენები კი სიგრძეში 3 მეტრამდე იზრდებიან და ადამიანისთვის საფრთხეს არ წარმოადგენენ, თუ მათ პროვოცირებას არ ექნება ადგილი.



განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსი მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

მკურნალობა

● ალკოჰოლიზმი, „პაპელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამონეწეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება — მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეუროთ ფარულად საკვებში. სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუწვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემები — გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგება. ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ: 558-34-36-24.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდგრების, ართროზების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა — შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისპეპტიკები, დიარეა, ორგანიზმის განმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით — იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) — მკურნალობა უკუწვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმალღეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტური გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან — შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის განმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულად!), შედეგი 100%-იანი. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მესიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის განმენდა ქოლესტერინისაგან, წნეების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკური) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისპეპტიკიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო განმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ

სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვალერი შრიდია: სახალწლო სამზადისის დროს მივიღე მე-3 ხარისხის დამწვრობა. მივმართე საავადმყოფოს. ორი დღის განმავლობაში მდგომარეობა ძალიან დამიძიმდა. გვირჩიეს ლამარა თოდუას მალამო. პირველი პროცედურის შემდეგ ვიგრძენი, რომ ტკივილი ნელ-ნელა ქრებოდა. სამი პროცედურის შემდეგ ნორმალური ძილი და ჭამა შევძელი. ლამარა თოდუას მალამომ მთლიანად მომიშუშა დამწვარი ფხეები, ხელის მტევნები და სახე, ისე, რომ ნაწიბურც არ მეჩნებოდა.


თამარ ხარხალი: მყავს 78 წლის ლოგინს მიჯაჭვული დედა. გაუჩნდა ნაწოლები. მივმართე ლამარა თოდუას. მისმა მალამოებმა და ლოსიონმა დედაჩემს შევბა მოჰგვარა და ორი კვირის მკურნალობის შემდეგ ნაწოლების ადგილზე სინითლევ აღარ შეინიშნება.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82



19-წლამდე ნაკრები — მომავლის იმედი



საქართველო-შვედეთი 2:1
თბილისი. შინაილი მისი
1:0 კონსტანტინე (3), 2:0 ჩაპუჩაძე (31),
2:1 ბიოკანსონი (47)

საქართველო: ჩოჩიაშვილი, მალო, კობოლური, კუცია, კობორიძე, სამურკასოვი (ხუბაშვილი 88), ჩაპუჩაძე (არველაძე 86), ქოჩორაშვილი (სალარიშვილი 70), არაბიძე, ლავეცხელიანი **შვედეთი:** მ.იოჰანსონი, ანდერსონი, კოლეი, კრალი, იმერევი, სვენსონი (აშმედოზი 80), კიოჰანსონი (ლიდბერგი 46), კარლსონი, იაჯიჩი, საბოვიჩი (ადრიანი 32), გიოკერესი. ქართველ ფეხბურთის გულშემატკივრებს დიდი ხანია ისეთი სიამოვნება არ მიუღიათ, რასაც საქართველოს 19-წლამდე საფეხბურთო ნაკრები ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე აჩვენებს.

გიორგი ყიფიანის გუნდმა ქომაგებს გული მიუბრუნა სტადიონისკენ. პორტუგალიასთან შესანიშნავი თამაშისა და დასანანი მარცხის შემდეგ ჩვენებმა არანაკლებ კარგად ითამაშეს შვედეთთან და 2:1 მოიგეს. არანაკლებ იმითმაც ვახსენეთ, რომ პორტუგალიელებთან თამაშის ხარისხი უკეთესად მოგვეჩვენა.

ანგარიში მე-3 წუთზე გაიხსნა — შვედი მცველების შეცდომით გიორგი კობორიძემ ისარგებლა და ეფექტური დარტყმით საკუთარი გუნდი დაანიაურა. შეხვედრა ჩვენი გუნდის შეტევებით გაგრძელდა და 31-ე წუთზე გი-

ორგი ჩაპუჩაძემ შვედებს მეორე გოლი გაუტანა. ქართველმა შემტევმა გიორგი კუციას წამოწეხული კონტრიერიში ტექნიკური დარტყმით დაასრულა.

პირველი ნახევრის დარჩენილ დროში საქართველოს 19-წლამდე ნაკრებს კიდევ ერთი გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ ერთი-ერთზე დარჩენილ გიორგი არაბიძეს მეკარემ აჯობა.

შვედებმა ერთადერთი გოლის გატანა მეორე ნახევრის სტარტზე მოახერხეს: 47-ე წუთზე გიორგი ჩოჩიაშვილის კარი ვიქტორ გიოკერესმა აიღო. მატჩის დასრულებამდე სასიფათო მომენტები ორივე გუნდის კართან შეიქმნა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა. საქართველოს 19-წლამდე ნაკრებმა მნიშვნელოვანი 3 ქულა მოიპოვა და ნახევარფინალის საფეხურისთვის ბრძოლას განაგრძობს.

ჯგუფური ეტაპის გადამწყვეტი შეხვედრა საქართველოს ნაკრები-სა და ჩეხეთის მონაწილეობით 8 ივლისს, მესხის სახელობის სტადიონზე ჩატარდება. მატჩი შაბათს, 20:00 საათზე დაიწყება. ჩვენი მომავალი მეტოქე მე-2 ტურში პორტუგალიასთან 1:2 დამარცხდა.

2 ტურის შემდეგ ჯგუფს 6 ქულით პორტუგალია ლიდერობს. საქართველო და ჩეხეთი 3-3 ქულით მე-2-3 ადგილებს ინაწილებენ, მე-4 ადგილზე მყოფი შვედეთი კი ქულის გარეშეა.

საქართველოს ნაკრები 10 საფეხურით დანიშნულა

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები, ფიფა/კოფა კოლას განახლებულ რეიტინგში 10 საფეხურით დანიშნულა და ახლა 112-ე ადგილს იკავებს.

ვლადიმერ ვაისის გუნდმა პროგრესი ამხანაგურ შესხვედრაში, სენტ კიტის-სა და ნევისის ნაკრებების წინააღმდეგ მოპოვებული გამარჯვებისა და მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე, მოლდოვაში, ფრედ ნათამაშეში შესხვედრის შემდეგ მოპოვებული სარეიტინგო ქულების შედეგად მოიპოვა.

